

## განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია

განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 (ISCED-F 2013) - დეტალური  
სფეროების აღწერა



მთარგმნელი: ლალი ბაქრაძე  
რედაქტორი: ნინო ურუშაძე



წინამდებარე პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა აზრს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

## განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია

განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 (ISCED-F 2013) - დეტალური სფეროების აღწერა

### იუნესკო

1945 წლის ნოემბერში, ლონდონის კონფერენციაზე, ოცმა ქვეყანამ მიიღო გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) წესდება, რომელიც ძალაში 1946 წლის 4 ნოემბერს შევიდა. ამჟამად ორგანიზაცია 195 წევრ ქვეყანასა და 9 ასოცირებულ წევრს აერთიანებს.

იუნესკოს მთავარი ამოცანაა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და კომუნიკაციის სფეროებში ერებს შორის თანამშრომლობის სტიმულირებით ხელი შეუწყოს მშვიდობასა და უსაფრთხოებას მსოფლიოში და ასევე, გააძლიეროს საყოველთაო პატივისცემა სამართლიანობის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების მიმართ, რაც მსოფლიო ხალხებისათვის, განურჩევლად რასის, სქესის, ენისა და რელიგიისა, დადასტურებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით.

თავისი მანდატის შესასრულებლად იუნესკო ახორციელებს ხუთ ძირითად ფუნქციას: 1) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და კომუნიკაციის კვლევები ხვალისდელი მსოფლიოსთვის; 2) ცოდნის გაფართოება, ტრანსფერი და გაზიარება სამეცნიერო კვლევების, ტრენინგისა და სასწავლო საქმიანობის მეშვეობით; 3) სტანდარტების დადგენა შიდა ინსტრუმენტებისა და ნორმატიული რეკომენდაციების მომზადებისა და მიღებისათვის; 4) წევრ სახელმწიფოებთან ტექნიკური თანამშრომლობა მათი განვითარების პოლიტიკისა და პროექტების ექსპერტიზის მეშვეობით5) სპეციალიზირებული ინფორმაციის გაცვლა.

იუნესკოს სათაო ოფისი მდებარეობს პარიზში, საფრანგეთი.

### იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი

იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი (UIS) არის იუნესკოს სტატისტიკის ოფისი და გაეროს გლობალური სტატისტიკის დეპოზიტორი/საცავი განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, კულტურისა და კომუნიკაციის სფეროებში.

იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი 1999 წელს დაარსდა. მისი შექმნის მიზანი იუნესკოს სტატისტიკის პროგრამის გასაუმჯობესება და დროული, ზუსტი და პოლიტიკისთვის-რელევანტური სტატისტიკის განვითარება და გავრცელებაა, რაც აუცილებელია დღევანდელი კომპლექსური და ცვალებადი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოსთვის.

იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი ფუნქციონირებს მონრეალში, კანადა.

## სარჩევი

|  |     |
|--|-----|
| შესავალი .....   | 4   |
| 00 ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები.....                      | 5   |
| 01 განათლება.....  | 8   |
| 02 ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები .....                  | 11  |
| 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია .....      | 19  |
| 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი .....                    | 23  |
| 05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა..... | 29  |
| 06 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები .....               | 34  |
| 07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა.....                        | 36  |
| 08 სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, მეთევზეობა და ვეტერინარია.....   | 45  |
| 09 ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა.....                          | 49  |
| 10 მომსახურებები .....   | 55  |
| დანართი I - ISCED-F 2013: შესაძლო კოდების ჩამონათვალი .....      | 61  |
| დანართი II - რიცხვითი კოდების ჩამონათვალი .....                  | 71  |
| დანართი III - ანბანური ჩამონათვალი .....                         | 106 |
| III.1 ინგლისურ-ქართული .....                                     | 106 |
| III.2 ქართულ-ინგლისური .....                                     | 132 |

## შესავალი

განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCED) არის განათლების შესახებ საერთაშორისოდ შესადარებელი სტატისტიკის შეგროვების, კომპილაციისა და ანალიზის ჩარჩო. ISCED-ი გაეროს ეკონომიკური და სოციალური კლასიფიკაციის საერთაშორისო ოჯახის წევრია და რეფერირებად კლასიფიკაციას წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათთან დაკავშირებული კვალიფიკაციების განათლების დონეებისა და სფეროების მიხედვით ორგანიზების საქმეში. აღნიშნული კლასიფიკაცია იუნესკომ შეიმუშავა 1970-იან წლებში. ISCED-ი გადამუშავდა ორჯერ, უკანასკნელი რევიზია 2011 წელს განხორციელდა. ISCED-ი არის საერთაშორისო შეთანხმების შედეგი და ის ფორმალურად მიღებულია იუნესკოს წევრი ქვეყნების გენერალურ კონფერენციის მიერ.

დოკუმენტის 2011 წლის რევიზია ძირითადად კონცენტრირებული იყო პროგრამების (ISCED-P) საგანმანათლებლო დონეების ცვლილებაზე და პირველად განახორციელა საგანმანათლებლო მიღწევის დონეების კლასიფიცირება კვალიფიკაციების საფუძველზე (ISCED-A). 2013 წლის რევიზია კი ფოკუსირებული იყო განათლებისა და ტრენინგის სფეროებზე (ISCED-F). ISCED-ის გადამუშავებული ვერსიები საერთაშორისო შეთანხმების შედეგია და ფორმალურად მიღებულია იუნესკოს წევრი ქვეყნების გენერალური კონფერენციის მიერ.

წინამდებარე დოკუმენტი აღწერს 2013 წელს გადამუშავებული “განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის - განათლებისა და ტრენინგის სფეროების” (ISCED-F 2013) დეტალური სფეროების საგნობრივ შინაარსს, სადაც შესაძლებელია, თითოეული აღწერა იძლევა ორ მაგალითს: როგორც კონკრეტული სფეროსთვის მიკუთვნებულ საგნებს, ასევე ზოგიერთ მომიჯნავე შემთხვევებს, რომლებიც გამოირიცხება ამ კონკრეტული სფეროდან და გათვალისწინებულია სხვა სფეროში. გამოირიცხვის ასეთი მაგალითები გვეხმარება, რომ უკეთ განვასხვაოთ ერთი სფერო მეორესგან, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, სადაც არსებობს მსგავსება ორი სფეროს შინაარსს შორის.

დოკუმენტის ბოლოში მოცემულია საგნებისა და სფეროების ანბანური და რიცხვითი ჩამონათვალი. ჩამონათვალი მოიცავს საგნების უფრო მეტ მაგალითს, ვიდრე მოცემულია თითოეული სფეროს აღწერაში.

დოკუმენტში ასევე შეჯამებულია ყველა შესაძლო სფეროს კოდები და მათი ადგილი კლასიფიკაციის იერარქიაში.

## 00 ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები

ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები - უზრუნველყოფს ფუნდამენტური და პერსონალური უნარების დაუფლებას. ეს სფერო მოიცავს საგნების ფართო სპექტრს და არ ახდენს აქცენტირებას ან სპეციალიზაციას კონკრეტულ ფართო ან ვიწრო სფეროში.

ეს ფართო სფერო არ გამოიყენება, როგორც ნაშთი/ნარჩენი კატეგორია. პროგრამები და კვალიფიკაციები მკაფიოდ გამოკვეთილი სპეციფიკური საგნებით კლასიფიცირებულია ფართო სფეროებში 01-დან 10-მდე. ამასთან, აქ უმაღლესი განათლება კლასიფიცირდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

### 001 საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები

#### 0011 საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები

საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები განკუთვნილია კითხვის, წერისა და არითმეტიკის ფუნდამენტური უნარების გამოსამუშავებლად, ასევე ისეთი საგნების ელემენტარული გაგებისათვის როგორცაა ისტორია, გეოგრაფია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, ხელოვნება და მუსიკა; ზოგიერთ შემთხვევაში ითვალისწინებს რელიგიის სწავლებაც.

ეს პროგრამები და კვალიფიკაციები ჩვეულებრივად ხორციელდება დაწყებითი და საბაზო განათლების დონეზე. სრული საშუალო განათლების დონეზე არსებული ფართო, არასპეციალიზირებული პროგრამებიც კლასიფიცირდება ამ სფეროში, იმ შემთხვევაშიც კი თუ ადგილი აქვს გარკვეულ კონცენტრაციას. მაგალითად, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ა.შ. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ხდება პროფესიული პროგრამებისა და კვალიფიკაციების ჩართვა ამ სფეროში.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- დაწყებითი განათლების დონის პროგრამები და კვალიფიკაციები;
- ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები სპეციფიკური საგნობრივი აქცენტების გარეშე;
- საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები;
- ფართო, ზოგადი (არასპეციალიზირებული) პროგრამები და კვალიფიკაციები.

#### მოიცავს

ამ დეტალურ სფეროში კლასიფიცირდება სრული საშუალო განათლების (ზოგიერთ ქვეყანაში საბაზო განათლების) დონეზე არსებული საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები გარკვეული აქცენტებით მაგ., ჰუმანიტარულ, სოციალურ ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე, რომლებიც ამავდროულად ცოდნის სხვა სფეროებსაც მოიცავენ. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი პროგრამები ხორციელდება მოდულარულ საფუძველზე და ისინიც აქ უნდა კლასიფიცირდეს.

## გამორიცხავს

პროგრამა, რომელიც ორიენტაციის თვალსაზრისით (არაპროფესიული) მიჩნეულია ზოგად პროგრამად, მაგრამ ხასიათდება დეტალურ, ვიწრო ან ფართო სფეროებზე მკაფიო აქცენტებით, გამორიცხება ამ სფეროდან და საგნიდან გამომდინარე ჩაერთვება 01-10 ფართო სფეროებიდან ერთ-ერთში.

### **002 წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება**

#### **0021 წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება**

**წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება** ძირითადად **ზრდასრულებისთვის** გამიზნული პროგრამები და კვალიფიკაციებია და შემუშავებულია კითხვის, წერისა და არითმეტიკის ფუნდამენტური უნარების დასაუფლებლად. ამ დეტალური სფეროს გარჩევა დეტალური სფეროსგან - “0011 - საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები” შესაძლებელია პროგრამაში მონაწილეთა ასაკის გამოიყენებით.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- რაოდენობრივი აზროვნება;
- საგანმანათლებლო ნაკლოვანებების აღმოფხვრის საბაზო პროგრამები ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისთვის;
- წიგნიერება.

### **003 პიროვნული უნარები**

#### **0031 პიროვნული უნარები**

**პიროვნული უნარები** განისაზღვრება პირის შესაძლებლობის (მენტალური, სოციალური და ა.შ) ეფექტის გათვალისწინებით. ეს დეტალური სფერო მოიცავს პიროვნული უნარების პროგრამებს, რომლებიც არაა გათვალისწინებული 0011-“საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები” ან 0021-“წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება” სფეროებში და ავითარებენ ძირითად/საკვანძო<sup>1</sup> კომპეტენციებსა და ტრანსფერულ უნარებს.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- არგუმენტირება და პრეზენტირება;
- დროის მენეჯმენტი;
- თანამშრომლობა;
- თვითშეფასების უნარები;
- კომუნიკაციის უნარები;
- მენტალური უნარების განვითარება;
- მშობლების/ბავშვის აღზრდის კურსები;
- საკუთარ თავში დარწმუნებულობის ტრენინგი;

<sup>1</sup> მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ძირითადი/საკვანძო კომპეტენციების შესახებ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2006 წლის 18 დეკემბრის რეკომენდაციით(2006/962/EC) განსაზღვრულია 8 საკვანძო/ძირითი კომპეტენცია (მთარგმნელის შენიშვნა).

- სამუშაოს ძიების პროგრამები;
- საჯარო გამოსვლა;
- სოციალური კომპეტენცია;
- ქცევითი უნარების განვითარება.

### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება ლიდერობის პროგრამა პიროვნული განვითარების კონტექსტით.

ამ დეტალურ სფეროს განეკუთვნება სამუშაო ადგილთან ან სამუშაო დავალებასთან დაკავშირებული განათლება და ტრენინგი, თუ ის პიროვნულ განვითარებასთან უფრო მეტადაა დაკავშირებული, ვიდრე კონკრეტულ სამუშაოსთან. პიროვნული უნარების კურსების განხორციელება სამუშაო ადგილზეცაა შესაძლებელი, მაგრამ შინაარსიდან გამომდინარე ისინი ამ სფეროში უნდა კლასიფიცირდეს.

ეს სფერო ასევე მოიცავს პროგრამებს სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის, თუ როგორ გაუმკლავდნენ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებას.

### გამორიცხავს

ლიდერობის პროგრამები მენეჯმენტის კონტექსტით გამორიცხება ამ სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0413-“მენეჯმენტი და ადმინისტრირება”.

## 01 განათლება

### 011 განათლება

#### 0111 განათლების მეცნიერება

**განათლების მეცნიერება** - შეისწავლის სასწავლო პროცესსა და სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიებს, მეთოდებსა და ტექნიკას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- განათლების შეფასება და კვლევა;
- განათლების შეფასება, ტესტირება და გაზომვა;
- დიდაქტიკა;
- კურიკულუმის კვლევები;
- პედაგოგიკის მეცნიერებები.

#### გამორიცხავს

განათლების მეცნიერებასთან კომბინირებულ სასწავლო პრაქტიკის მქონე მასწავლებლის მომზადების პროგრამები გამორიცხება ამ სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში - “მასწავლებლის მომზადება”(0112-0114).

#### 0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება

**სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება** - შეისწავლის ფორმალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სკოლამდელ ან ადრეული განათლების დონეებზე, მცირეწლოვანი, არაუმეტეს 7 წლის ასაკის მქონე ბავშვების სწავლების თეორიებს, მეთოდებსა და პრაქტიკას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ადრეული განათლება (ფორმალური სკოლის ფარგლებში);
- სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება.

#### გამორიცხავს

ბავშვების სწავლება და მოვლა ფორმალური სასკოლო/საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული სისტემის გარეთ გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0922 “ბავშვის მოვლა და მოზარდთა მომსახურებები”.

#### 0113 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციის გარეშე

**მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციის გარეშე** - შეისწავლის 5-დან 15 წლამდე ასაკის მქონე ბავშვებისთვის კითხვის, წერის და მათემატიკის ფუნდამენტური უნარების განვითარების, ასევე ისტორიის, გეოგრაფიის, სოციალური მეცნიერების და სხვა საგნების ელემენტარული გაგების სწავლების თეორიებს, მეთოდებსა და პრაქტიკას, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის საფუძვლების შექმნას. ამ სფეროში საგნის სპეციალიზაცია



უფრო ნაკლებადაა გამოხატული, ვიდრე დეტალურ სფეროში -0114 - “მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით”.

ეს დეტალური სფერო მოიცავს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების სწავლების პროგრამებს, ასევე ზრდასრულებისთვის საბაზო წერა-კითხვის სწავლებისა და იმიგრანტებისთვის თავიანთ მშობლიურ ან პირველ ენაზე ამ ტიპის უნარების სწავლების პროგრამებსაც.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- დაწყებით განათლება;
- კლასის მასწავლებლის მომზადება;
- მკვიდრი მოსახლეობისთვის მასწავლებლის მომზადება;
- სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების მასწავლებლის მომზადება.

### მოიცავს

ამ დეტალურ სფეროში მოცემულია ზრდასრულთათვის საბაზო წერა-კითხვის სწავლების შესწავლა, ისევე როგორც მასწავლებლის ასისტენტის პროგრამები.

### გამორიცხავს

მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით, მაშინაც კი, თუ საქმე ეხება დაწყებით განათლებასა და არასრულ საშუალო განათლებას, გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0114 –“მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით”.

### **0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით**

**მასწავლებლის განათლება საგნობრივი სპეციალიზაციით** - შეისწავლის ერთ-ერთი საგნის სწავლების თეორიებს, მეთოდებსა და პრაქტიკას, რომელიც ძირითადად მიეკუთვნება განათლების საშუალო ან უფრო მაღალ საფეხურს. ამ დეტალური სფეროს პროგრამები და კვალიფიკაციები ხშირად შედგება როგორც მასწავლებლობის, ასევე კონკრეტული საგნის/საგნების შესწავლისგან.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- მანქანის მართვის ინსტრუქტორის მომზადება;
- მასწავლებლის მომზადება - კომერციის საგნები;
- მასწავლებლის მომზადება - მეორე ენა;
- მასწავლებლის მომზადება - მუსიკა;
- მასწავლებლის მომზადება - პროფესიული საგნები;
- მასწავლებლის მომზადება - საექთნო საქმე;
- მასწავლებლის მომზადება - სპეციფიკური თეორიული საგნები. მაგალითად, ინგლისური მათემატიკა, ისტორია;
- მასწავლებლის მომზადება - ტექნიკური საგნები;
- მასწავლებლის მომზადება - ფიზიკური მომზადება;
- მასწავლებლის მომზადება - ხელოვნება და გამოყენებითი ხელოვნება;

- ტრენერების მომზადება.

### მოიცავს

ეს დეტალური სფერო მოიცავს მასწავლებლის მომზადების კურსებს უნივერსიტეტის მასწავლებლებისთვის, სამუშაო ადგილისა და მუშაობისთვის საჭირო უნარების ინსტრუქტორებისთვის და ასევე პრაქტიკული და სახელოვნებო საგნების ინსტრუქტორებისთვის.

### გამორიცხავს

ამ სფეროდან გამოირიცხება სპორტის ტრენერების მომზადება და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 1014 –“სპორტი”.

**018 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ განათლებას**

**0188 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ განათლებას**

აქ კლასიფიცირდება ის ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, სადაც დადგენილი სასწავლო დროის უმეტესი წილი ეთმობა განათლებას.

## 02 ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები

### 021 ხელოვნება

#### 0211 აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება

აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება - შეისწავლის წიგნების ან გაზეთების, რადიო ან სატელევიზიო პროდუქციის, ფილმის ან ვიდეოს, მუსიკალური ჩანაწერების შექმნა-წარმოებასა და გრაფიკულ რეპროდუქციას.

ის მოიცავს პროგრამებსა და კვალიფიკაციებს ფერის რეპროდუქციის მეთოდებზე, ფოტოგრაფიასა და კომპიუტერულ გრაფიკას. აქ ასევე კლასიფიცირდება წიგნების, ჟურნალების, პოსტერებისა და რეკლამების წარმოებაში სურათების, სიტყვებისა და დეკორაციების კომბინირების შესწავლა.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ანიმაცია;
- ასოთაწყობა;
- ბეჭდვა/ ბეჭდური გამოცემა;
- ბეჭდვის წინა (მოსამზადებელი) ოპერაციები;
- ბეჭდვის დასრულება და აკინძვა;
- გრაფიკული დიზაინი;
- გრაფიკული რეპროდუქცია;
- ილუსტრირება;
- ინტერაქტიული მედია დიზაინი;
- კამერის ოპერატორობა;
- კომპიუტერული თამაშების წარმოება;
- კომპოზიციის შექმნა (ბეჭდვა);
- მედია მეთოდები;
- მულტიმედია პროდუქცია/წარმოება;
- რადიო და ტელე პროდუქცია;
- სქემა/მონახაზი;
- ფილმისა და ვიდეოს წარმოება;
- ფოტოგრაფია;
- ხმის ტექნიკა;
- ჩაწერილი მუსიკის პროდუქცია/წარმოება;
- წიგნის აკინძვა.

#### მოიცავს

ამ სფეროს განეკუთვნება დესკტოპ-გამომცემლობა და სქემის/მონახაზის მომზადება.

#### გამორიცხავს

დესკტოპ-გამომცემლობისა და ვებგვერდებისთვის სპეციფიური პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების გამოყენების პროგრამები და კვალიფიკაციები გამოირიცხება ამ სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0611 “კომპიუტერის

გამოყენება”.

ჟურნალისტიკის შესწავლა (ტექსტის/ამბის ფორმულირება და შინაარსი) გამოირიცხება ამ სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0321- “ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა”.

### **0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული დიზაინი**

**მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი** - შეისწავლის ხაზის, ფორმისა და ქსოვილის/სტრუქტურის კრეატიულ კომბინირებას სამოსის, ინდუსტრიული პროდუქციის და ინტერიერის დაგეგმვისა და შექმნისთვის.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ინდუსტრიული/სამრეწველო პროდუქციის დიზაინი;
- ინტერიერის არქიტექტურა;
- ინტერიერის დიზაინი;
- კოსტიუმის დიზაინი;
- მოდის დიზაინი;
- სცენის დიზაინი;
- ვიტრინის (ფანჯრის) გაფორმება.

### **გამორიცხავს**

შენობის დიზაინის შესწავლა გამოირიცხება ამ სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0731 –“არქიტექტურა და ქალაქის დაგეგმარება”

ინდუსტრიული დიზაინის შესწავლა გამოირიცხება ამ სფეროდან, თუ აქცენტი გადატანილია ტექნიკურ საგნებზე და არა მხატვრულ დიზაინზე და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 071 –“ინჟინერია და საინჟინრო საქმე”

გამოცემის დიზაინი და გრაფიკული დიზაინი გამოირიცხება ამ სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0211 –“აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება”.

### **0213 სახვითი ხელოვნება**

**სახვითი ხელოვნება** - შეისწავლის კრეატიული გამოხატვის ვიზუალურ ფორმებს, მათ შორის სახვითი ხელოვნების თეორიას, ისტორიასა და ასევე ტექნიკას, შესრულებასა და შექმნას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ბეჭდვითი სახვითი ხელოვნება;
- გრაფირება;
- კალიგრაფია;
- სკულპტურა;

- მხატვრობა/ფერწერა;
- ხელოვნების თეორია;
- ხელოვნების ისტორია;
- ხელოვნების ფილოსოფია.

#### გამორიცხავს

კერამიკა, ჭურჭელი და ა.შ. გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში - 0214 “გამოყენებითი ხელოვნება(ხელნაკეთობა)”.

არქიტექტურის შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0731-“არქიტექტურა და ქალაქის დაგეგმარება”.

ხელოვნების მასწავლებლის მომზადება გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0114 “მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით”.

#### **0214 გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა)**

**გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა)** - შეისწავლის საიუველირო ხელოვნების, კერამიკის, ქსოვის, ხის დამუშავების და ა.შ ტექნიკასა და უნარებს.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ადგილობრივი ხელნაკეთობა;
- გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), ხალხური რეწვა და ხელოსნობა;
- ვერცხლის ნაკეთობათა დამზადება;
- კერამიკა;
- ლითონის დეკორატიული დამუშავება;
- მინის ხელოვნება და ხელნაკეთობა;
- მუსიკალური ინსტრუმენტები (შეკეთება და აწყობა);
- მუსიკალური ინსტრუმენტების გაკეთება (არასამრეწველო);
- ოქრომჭედლობა;
- საიუველირო საქმე;
- საფეიქრო საქმე (ხელნაკეთობა);
- ფლორისტი (თაიგულების შექმნა);
- ქარგვა;
- ქვის მხატვრული დამუშავება;
- ხის მხატვრული დამუშავება.

#### გამორიცხავს

ჭურჭლის, ქსოვილის, ნაქარგის და ა.შ ინდუსტრიული წარმოება (დიდი ოდენობით და მექანიზირებული) გამოირიცხება ამ სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში, რომელიც განეკუთვნება ფართო სფეროს 07 - “ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა”.

## 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება

**მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება** - შეისწავლის საშემსრულებლო ხელოვნებასთან (მუსიკა, მეტყველება, მოძრაობა, მიმიკა, ხასიათის შექმნა, იმპროვიზირება და სასცენო ოსტატობა) ასოცირებულ პრინციპებსა და ტექნიკას/მეთოდებს.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ბალეტი;
- დირიჟორობა;
- დრამა;
- თეატრი/თეატრის მეცნიერება;
- კომპოზიცია (მუსიკა);
- კრეატიული და საშემსრულებლო ხელოვნება;
- მუსიკა;
- მუსიკის ისტორია;
- მუსიკის დირიჟორობა;
- მუსიკოლოგია;
- სამსახიობო ხელოვნება და რეჟისურა;
- ფილმისა და თეატრის ისტორია;
- ქორეოგრაფია;
- ცეკვა;
- ცირკი.

### მოიცავს

ამ სფეროში კლასიფიცირდება მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიისა და თეორიის შესწავლა.

### გამორიცხავს

მუსიკისა და სხვა საშემსრულებლო ხელოვნების მასწავლებლის მომზადება გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0114 – “მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით”.

## 022 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე)

### 0221 რელიგია და თეოლოგია

**რელიგია და თეოლოგია** - შეისწავლის რელიგიურ შეხედულებებს/რწმენას, ცნებებს, სიმბოლოებს, გამოხატვასა და რელიგიურ ტექსტებს.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- თეოლოგია;
- რელიგიის ისტორია;
- სხვადასხვა რელიგიის შესწავლა/კვლევა;

- წმინდა წიგნების შესწავლა.

### მოიცავს

ეს დეტალური სფერო მოიცავს პროგრამებს ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ჩვეულებრივ ისწავლება სასულიერო სკოლებში ან სემინარიებში, მონასტრებში და ა.შ. და რომლის მიზანია სტუდენტს განუვითაროს ინტერესი თავისი რელიგიის დოგმებისადმი, მისი ფილოსოფიის საკმარისი ცოდნა და ამით დაეხმაროს რწმენის გაძლიერებაში.

### გამორიცხავს

რელიგიური სკოლებისა და სემინარიების საბაზო პროგრამები, რომლებიც მოიცავენ რელიგიის სწავლებას, მაგრამ აქცენტი არ კეთდება ან არაა მიმართული რელიგიურ საქმიანობაზე, გამორიცხება ამ სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0011 – “საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები”. ისლამური შარიას პროგრამები და კვალიფიკაციები გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0421 – “სამართალი”.

### **0222 ისტორია და არქეოლოგია**

**ისტორია** - შეისწავლის წარსულ მოვლენებს, განსაკუთრებით კი ქვეყნის, კონტინენტის ან მსოფლიოს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. **არქეოლოგია** - შეისწავლის უძველეს ცივილიზაციებს არქეოლოგიური აღმოჩენების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- არქეოლოგია;
- ისტორია;
- კულტურის ისტორია;
- ლიტერატურის ისტორია;
- მედიცინის ისტორია;
- მეცნიერებისა და იდეების ისტორია;
- ფოლკლორის კვლევები;
- ტექნოლოგიის ისტორია.

### მოიცავს

ეს დეტალური სფერო ასევე მოიცავს ხელოვნების ნიმუშების (კულტურული მემკვიდრეობის) დაცვის პროგრამებს.

### გამორიცხავს

ლიტერატურის შესწავლა, რომელიც კომბინირებულია ენის შესწავლასთან გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0232 – “ლიტერატურა და ლინგვისტიკა”.

კლასიკური ენების შესწავლა (ლათინური და ა.შ.) გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0231 “ენის დაუფლება”.

ხელოვნების ისტორია გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0213 “სახვითი ხელოვნება”.

მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0215 “მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება”.

ეკონომიკის ისტორია გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0311 –“ეკონომიკა”.

### **0223 ფილოსოფია და ეთიკა**

**ფილოსოფია და ეთიკა** - შეისწავლის ფილოსოფიას, ეთიკასა და სხვა დაკავშირებულ საგანს, რომელიც შეეხება ცხოვრების რაობას/კონცეფციას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ეთიკა;
- ლოგიკა;
- მორალი;
- ფილოსოფია;

### **გამორიცხავს**

რელიგიის შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0221 - “რელიგია”.

ხელოვნების ფილოსოფია გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0213 - “სახვითი ხელოვნება”.

### **023 ენები**

#### **0231 ენის დაუფლება**

**ენის დაუფლება** არის იმ ენის სტრუქტურისა და კომპოზიციის შესწავლა, რომელიც ისწავლება როგორც მეორე ან უცხოური ენა (ე.ი. განკუთვნილია არამშობლიურ ენაზე ან ენაზე არათავისუფლად მოსაუბრეებისათვის). ის მოიცავს შესაბამისი კულტურის, ლიტერატურის, ლინგვისტიკის და ფონეტიკის შესწავლას, რომელიც დაკავშირებულია სპეციფიკურ ენასთან და აყალიბებს პროგრამის/კვალიფიკაციის ნაწილს. კლასიკური და მკვდარი ენები კლასიფიცირდება ამ დეტალურ სფეროში და იგულისხმება, რომ მკვიდრ ენაზე მოსაუბრეები არ არსებობენ. ამდენად, სწავლების მეთოდი და კურიკულუმის შინაარსი უფრო უცხო ენის შესწავლის მსგავსია.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:



- ეგზოგენური ენები;
- თარგმანი;
- ინტერპრეტაცია;
- კლასიკური ენები;
- მეორე ენა, მაგალითად ინგლისური, როგორც მეორე ენა;
- ჟესტების ენა;
- ჟესტების ენის ინტერპრეტაცია;
- უცხო ენები;
- ფონეტიკა.

### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება ენებისა და ლინგვისტიკის შესწავლა, თუ ლინგვისტიკა დაკავშირებულია შესასწავლ სპეციფიკურ ენასთან (ენებთან) და ერთი და იგივე პროგრამისა და კვალიფიკაციის ნაწილებს შეადგენენ. ამ სფეროში ასევე კლასიფიცირდება თარგმნა და ინტერპრეტირება.

### გამორიცხავს

მშობლიური ან პირველი ენის (ე.ი. ენა რომელიც განზრახულია მშობლიურ ენაზე ან კონკრეტულ ენაზე თავისუფლად მოსაუბრეებისათვის, თუნდაც ეს ენა არ იყოს ქვეყნის ეროვნული ენა), შესწავლა (პროგრამები იმიგრანტებისთვის, რომლებიც სწავლობენ თავიანთ მშობლიურ ენას) გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0232 – “ლიტერატურა და ლინგვისტიკა”.

### **0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა**

ლიტერატურა და ლინგვისტიკა ამ დეტალური სფეროს მიზნებისათვის განმარტებულია, როგორც ენ(ებ)ის შესწავლა მშობლიურ ენაზე ან სწავლების ენაზე თავისუფლად მოსაუბრე პირების მიერ. ის მოიცავს შესაბამისი ლიტერატურისა და ლინგვისტიკის შესწავლას. შეიძლება მოიცავდეს ან არ მოიცავდეს ენის სტრუქტურასა და კომპოზიციას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ადგილობრივი მოსახლეობის პირველი ენა;
- კრეატიული წერა;
- ლინგვისტიკა;
- ლიტერატურა;
- მკვიდრი მოსახლეობის ენები;
- მშობლიური ენა;
- პირველი ენა.

### მოიცავს

ენა, რომელიც ისწავლება, როგორც პირველი (“მშობლიური ენა”), იმისდა მიუხედავად, რომ შეიძლება არ იყოს პროგრამის განმახორციელებელი ქვეყნის ეროვნული ენა (ე.ი.

პროგრამები იმიგრანტებისთვის მათ მშობლიურ ან პირველ ენაზე) კლასიფიცირდება ამ დეტალურ სფეროში. აქ კლასიფიცირდება ადგილობრივი და რეგიონული ენაც, თუ ის არის ქვეყნის მნიშვნელოვანი უმცირესობის პირველი სასაუბრო ენა და შემუშავებულია ენაზე კომპეტენტურად მოსაუბრეებისათვის.

აქ კლასიფიცირდება შედარებით ლიტერატურათმცოდნეობა, ზოგადი ლინგვისტიკა (არაა დაკავშირებული კონკრეტული ენის შესწავლასთან) და ლიტერატურათმცოდნეობა (კონკრეტული ენის შესწავლის გარეშე)

### გამორიცხავს

ენის პროგრამები გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან, თუ ენა ისწავლება, როგორც უცხოური ან მეორე ენა და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0231 – “ენის დაუფლება”

წიგნიერებისა და რაოდენობრივი აზროვნების პროგრამები გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0021 – “წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება”.

ქესტების ენის პროგრამები გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0231 - “ენის დაუფლება”.

**028 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს**

**0288 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს**

აქ კლასიფიცირდება ის ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, სადაც დადგენილი სასწავლო დროის უმეტესი წილი ეთმობა ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს.

## 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

### 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები

#### 0311 ეკონომიკა

**ეკონომიკა** - შეისწავლის ეკონომიკურ პოლიტიკას, ეკონომიკის თეორიასა და ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ეკონომეტრიკა;
- ეკონომიკა;
- ეკონომიკის ისტორია;
- პოლიტიკური ეკონომიკა.

#### გამორიცხავს

ეკონომიკის შესწავლა, სადაც აქცენტი გადატანილია ბიზნესის შესწავლაზე გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 041 – “ბიზნესი და ადმინისტრირება”. საოჯახო ეკონომიკის შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 1011 - “საშინაო (საოჯახო-საყოფაცხოვრებო) მომსახურებები”.

#### 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძველები

**პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძველები** - შეისწავლის მმართველობასა და პოლიტიკურ პრინციპებს ან პრაქტიკას. მოიცავს მოქალაქეების უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესწავლასაც.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ადამიანის უფლებები;
- მშვიდობისა და კონფლიქტის კვლევები;
- პოლიტიკის ისტორია;
- პოლიტიკის მეცნიერება;
- მოქალაქეობრიობის საფუძველები;
- საერთაშორისო ურთიერთობები;
- საჯარო პოლიტიკის კვლევები.

#### გამორიცხავს

პოლიტიკური ეკონომიკის შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0311 –“ეკონომიკა”.

### 0313 ფსიქოლოგია

**ფსიქოლოგია** - შეისწავლის ადამიანის აზროვნებასა და ქცევას, როგორც ინდივიდუალური განსხვავებების, გამოცდილებისა და გარემოს შედეგს.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- კოგნიტური მეცნიერებები;
- ფსიქონალიზი;
- ფსიქოთერაპია;
- ფსიქოლოგია.

### 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები

**სოციოლოგია და კულტურის კვლევები** - შეისწავლის ადამიანებსა და ჯგუფებსა და საზოგადოებაში მათი ქცევის წესებს/გზებს. ამ სფეროში ასევე გაერთიანებულია ეთნოლოგია და სოციალური ანთროპოლოგია, ისევე როგორც საზოგადოებრივი და სოციალური გეოგრაფია.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- გენდერის კვლევები;
- დემოგრაფია/მოსახლეობის კვლევები;
- ეთნოლოგია;
- კრიმინოლოგია;
- კულტურის გეოგრაფია;
- კულტურის კვლევები;
- სოციალური ანთროპოლოგია;
- სოციოლოგია.

### გამორიცხავს

სოციალური კეთილდღეობა, სადაც აქცენტი გადატანილია პრაქტიკულ სოციალურ მუშაობაზე გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0923 – “სოციალური მუშაობა და კონსულტაცია”.

ფიზიკური გეოგრაფია გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0532 - “დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები”.

### 032 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია

#### 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა

**ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა** - შეისწავლის ჟურნალისტიკის/რეპორტიორობის თეორიასა და პრაქტიკას, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ნაწილს. ჟურნალისტიკასა და რეპორტიორობას საქმე აქვს ტექსტის ფორმულირებასთან და

ინფორმაციის (ამბის) შინაარსსთან. ის მოიცავს ახალი ამბების გაშუქებას, საზოგადოებისათვის საინტერესო წერილობითი სახასიათო ისტორიებისა და კომენტარების მომზადებას და ა.შ.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ახალი ამბების მომზადება;
- ინფორმაცია (ტექსტის ფორმულირება და შინაარსი);
- ჟურნალისტიკა;
- მასობრივი კომუნიკაცია (ტექსტის ფორმულირება და შინაარსი);
- სამაუწყებლო ჟურნალისტიკა;
- სარედაქციო საქმე.

### გამორიცხავს

მასობრივი კომუნიკაციისათვის საჭირო მეთოდების შესწავლა (მაგ., ბეჭდვა და რადიო/ტელე პროდუქცია) გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0211 - “აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება”.

საგამომცემლო დიზაინისა და გამოცემის გეგმის მომზადების შესწავლა გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0211 - “აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება”.

საზოგადოებასთან ურთიერთობის შესწავლა გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0414 – “მარკეტინგი და რეკლამირება.”

### **0322 საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა**

**საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა** - შეისწავლის ინფორმაციული კოლექციების შერჩევის, შექმნის, ორგანიზებისა და შენახვის მეთოდებს და ხელს უწყობს ინფორმაციის გამოყენებას. მათ შორის მოიცავს მუზეუმისა და ბიბლიოთეკების შესწავლას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ბიბლიოთეკათმცოდნეობა;
- დოკუმენტაცია;
- ინფორმაციის მეცნიერება;
- მუზეუმმცოდნეობა;
- მუზეუმის დოკუმენტაცია;
- მუზეუმის კვლევები;
- საარქივო მეცნიერებები;
- საკურატორო კვლევები/საქმე.

### გამორიცხავს

ხელოვნების ნიმუშების (კულტურული მემკვიდრეობის) რესტავრაცია და დაცვა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0222 – “ისტორია და არქეოლოგია”.

**038 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკასა და ინფორმაციას**

**0388 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკასა და ინფორმაციას**

აქ კლასიფიცირდება ის ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, სადაც დადგენილი სასწავლო დროის უმეტესი წილი ეთმობა სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკასა და ინფორმაციას.

## 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

### 041 ბიზნესი და ადმინისტრირება

#### 0411 საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა

**საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა** - შეისწავლის ფინანსური ოპერაციების განხორციელებას, აუდიტირებასა და აღრიცხვას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- აუდიტი;
- აღრიცხვა;
- გადასახადების მენეჯმენტი;
- საბუღალტრო აღრიცხვა;
- საგადასახადო აღრიცხვა.

#### გამორიცხავს

საგადასახადო სამართლის შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0421 – “სამართალი”.

#### 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა

**ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა** - შეისწავლის საფინანსო საქმიანობისა და მომსახურების დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, ორგანიზებისა და კონტროლის საკითხებს. მოიცავს ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და ინდივიდების საფინანსო რესურსების კონტროლსა და მონიტორინგს, ასევე კორპორაციებისა და ინდივიდების ფინანსური მომსახურების საკითხებს.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ბანკის ოპერატორი;
- დაზღვევა;
- ინვესტიციების ანალიზი;
- ინვესტიციები და უსაფრთხოება;
- საბანკო საქმე და ფინანსები;
- საპენსიო დაზღვევა;
- საფონდო - საბროკერო საქმე;
- სოციალური დაზღვევა;
- ფინანსების თეორია.

#### გამორიცხავს

აქტუარიის (სადაზღვევო რისკების შეფასების) მეცნიერება გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0542 – “სტატისტიკა”.

## 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

**მენეჯმენტი და ადმინისტრირება** - შეისწავლის ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ფუნქციონირებისა და საქმიანობის დაგეგმვას, ხელმძღვანელობასა და მუშაობას/ოპერირებას. მენეჯმენტის პროგრამები, რომლებიც მოიცავენ ადმინისტრირებას, ეკონომიკას, ფინანსებს და ა.შ. კლასიფიცირდება ამ სფეროში თუ აქცენტი გადატანილია მენეჯმენტსა და ადმინისტრირებაზე.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ადმინისტრირება;
- განათლების/საგანმანათლებლო მენეჯმენტი;
- დასაქმების მენეჯმენტი;
- კურსები - “დაიწყე საკუთარი ბიზნესი”;
- ლოჯისტიკის მენეჯმენტი;
- მენეჯმენტის მეცნიერება;
- მომარაგების ჯაჭვის მენეჯმენტი;
- ორგანიზაციული თეორია და ქცევა;
- ოფისის მენეჯმენტი;
- პერსონალის/ადამიანური რესურსების ადმინისტრირება;
- პერსონალის/ადამიანური რესურსების მენეჯმენტი;
- ტრენინგის მენეჯმენტი;
- ჯანდაცვის ადმინისტრირება.

### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება ასევე ლიდერობის შესწავლა მენეჯმენტის კონტექსტში.

### გამორიცხავს

ლიდერობის შესწავლა პიროვნული განვითარების კონტექსტით გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0031 – “პიროვნული უნარები”.

ადმინისტრირების შესწავლა საოფისე საქმიანობის მნიშვნელობით გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0415 – “სამდივნო და საოფისე საქმე”.

## 0414 მარკეტინგი და რეკლამა

**მარკეტინგი და რეკლამა** - შეისწავლის ორგანიზაციებს ან/და ინდივიდებს შორის პროდუქციისა და მომსახურების გაცვლის პროცესების ხელშეწყობას, ასევე მომხმარებლის ქცევასა და მოთხოვნილებებს. ის მოიცავს პროდუქციის შემუშავების, ფასების დადგენის, დისტრიბუციის, პოპულარიზაციის და გაყიდვების როლს ბიზნესის განვითარების მაქსიმიზაციისათვის.



აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- კომერციული დაგეგმვა;
- მარკეტინგი;
- მარკეტინგული კვლევები;
- რეკლამირება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- სამომხმარებლო ქცევა.

#### **0415 სამდივნო და საოფისე საქმე**

**სამდივნო და საოფისე საქმე** - შეისწავლის ადმინისტრაციულ პროცედურებსა და პრაქტიკას, საოფისე ტექნოლოგიებს, საკანცელარიო საქმეს, სტენოგრაფიასა და ბეჭდვის უნარებს. ასევე მოიცავს სპეციალიზირებულ საოფისე/სამდივნო პროგრამებს (ბილინგვური, სამედიცინო, იურიდიული, საბუღალტრო და ა.შ.), თუ მათი მიზანია საოფისე საქმე და არა სპეციალიზაციით მომუშავე თანაშემწის მომზადება.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ადმინისტრაციული და სამდივნო მომსახურება;
- ბეჭდვა;
- იურისტის მდივნის პროგრამა;
- კანცელარიის მოხელის პროგრამები;
- კლავიატურის გამოყენების უნარები;
- კომპუტატორის ოპერატორობა;
- მიმღების მომზადების პროგრამა;
- მონაცემთა შეტანა;
- სამდივნო პროგრამები;
- სამედიცინო მდივნის პროგრამა;
- საოფისე ტექნიკის გამოყენება;
- სტენოგრაფია;
- უცხოური ენების მდივნის პროგრამა.

#### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება ფართო ხასიათის სამდივნო პროგრამები, რომლებიც სხვა საგნებთან ერთად მოიცავენ კომპიუტერის გამოყენებასაც.

#### გამორიცხავს

სპეციფიკური კომპიუტერული პროგრამების გამოყენების დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0611 – “კომპიუტერის გამოყენება”.

ოფისის მენეჯმენტი გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0413 – “მენეჯმენტი და ადმინისტრირება”

სასტუმროს მიმღების პროგრამა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და

კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 1013 – “სასტუმრო, რესტორანი და კვება”.

#### **0416 საბითუმო და საცალო გაყიდვები**

**საბითუმო და საცალო გაყიდვები** - შეისწავლის საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვის საკითხებს, მათ შორის აქციების მართვას, ფასების განსაზღვრას, დანაკარგების პრევენციას, გაყიდვების სისტემებსა და პროცედურებს. ის მოიცავს საცალო და საბითუმო ინდუსტრიის ფუნქციონირებასა და თანამედროვე ტენდენციებს. ის ასევე მოიცავს შენობებისა და საკუთრების გაყიდვას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- აუქციონირება (აუქციონზე გაყიდვა);
- დასაწყობება;
- დემონსტრირების მეთოდები;
- მომხმარებლის მომსახურებები;
- საბითუმო ვაჭრობა ;
- საცალო ვაჭრობა;
- საქონლის აღრიცხვა(ინვენტარიზაცია);
- უძრავი ქონების ბიზნესი;
- შესყიდვები.

#### მოიცავს

აქ ასევე კლასიფიცირდება შენობებისა და საკუთრების ყიდვა და გაყიდვა.

#### **0417 შრომითი უნარები**

**შრომითი უნარები** - შეისწავლის შრომითი საქმიანობის სტრუქტურასა და ფუნქციებს. მოიცავს პროგრამებს, რომლებიც ძირითადად ხორციელდება, როგორც სამუშაო ადგილთან და ფუნქციებთან დაკავშირებულ თანამშრომელთა ტრენინგი.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- კლიენტის/მომხმარებლის საჭიროებები;
- კომპანიის ცოდნა;
- ტრენინგი მომხმარებლის მომსახურებაზე;
- კურსები “შესავალი სამუშაოს შესახებ”;
- ორგანიზება სამუშაო ადგილზე;
- ხარისხის უზრუნველყოფა;
- პროფკავშირების კურსები (ზოგადი);
- სამუშაოს განვითარება/გაუმჯობესება.

#### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება თანამშრომლების ტრენინგი სამუშაო ადგილისა და სამუშაო ფუნქციების შესახებ.

## გამორიცხავს

სამუშაო ადგილისა და ფუნქციების შესახებ ტრენინგი გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან, თუ ეს ტრენინგი უფრო მეტად უკავშირდება პიროვნულ განვითარებას, ვიდრე საქმიანობის გაუმჯობესებას და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0031 – “პიროვნული უნარები”.

თანამშრომლების ტრენინგი, რომელთა კლასიფიცირება შესაძლებელია ნებისმიერ სხვა დეტალურ სფეროში, გამოირიცხება ამ სფეროდან და ჩაერთვება შესაბამის სფეროში (მაგ., ტექნიკური ხასიათის ხარისხის კურსები უნდა კლასიფიცირდეს 071 – “ინჟინერია და საინჟინრო საქმის” შესაბამის დეტალურ სფეროში).

სამუშაო გარემოს შესახებ პროგრამები უნდა კლასიფიცირდეს დეტალურ სფეროში 1022 – “პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება”.

პროგრამები, ძირითადად უმაღლესი განათლების დონეზე, რომლებიც შრომის ბაზრის, სოციალური პარტნიორობის, სამრეწველო ფსიქოლოგიის და ა.შ. თვალსაზრისით შეეხება ზოგადად შრომით საქმიანობას გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება 031 – “სოციალური და ქცევითი მეცნიერებების” ერთ-ერთ დეტალურ სფეროში.

## **042 სამართალი**

### **0421 სამართალი**

**სამართალი** - შეისწავლის სოციალური წესრიგის ფორმალურად შენარჩუნების/არსებობის პრინციპებსა და პროცედურებს. ის მოიცავს ისეთი იურიდიული პროფესიებისთვის მომზადებას როგორცაა ადვოკატი ან მოსამართლე.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- იურისპრუდენცია;
- იურიდიული პრაქტიკა;
- იურისტის ასისტენტის საქმის შესწავლა;
- კომერციული სამართალი;
- მკვიდრი მოსახლეობის სამართალი;
- ნოტარიუსი/სანოტარო პრაქტიკა;
- სამართლის ისტორია;
- სისხლის სამართალი;
- შრომის სამართალი.

## გამორიცხავს

სასამართლოს ანგარიშების შედგენა და იურისტის მდივნის პროგრამები გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0415 – “სამდივნო და საოფისე საქმე”.

საპოლიციო კვლევები გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 1032 - “ადამიანებისა და საკუთრების დაცვა”.

**048 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ბიზნესს, ადმინისტრირებასა და სამართალს**

**0488 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ბიზნესს, ადმინისტრირებასა და სამართალს**

აქ კლასიფიცირდება ის ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, სადაც დადგენილი სასწავლო დროის უმეტესი წილი ეთმობა ბიზნესს, ადმინისტრირებასა და სამართალს.

#### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება ბიზნესისა და ადმინისტრირების პროგრამები, სადაც 041 ვიწრო სფეროს არცერთ დეტალურ სფეროზე არ კეთდება აქცენტი.

#### გამორიცხავს

ბიზნესის პროგრამები, სადაც მკაფიოდაა გამოხატული 041 - “ბიზნესი და ადმინისტრირების” ერთ - ერთი დეტალური სფერო (მენეჯმენტი, ადმინისტრირება, მარკეტინგი და ა.შ) კლასიფიცირდება სპეციალიზაციის შესაბამისად ერთ-ერთ დეტალურ სფეროში.

## 05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა

### 051 ბიოლოგიური და დაკავშირებული მეცნიერებები

#### 0511 ბიოლოგია

ბიოლოგია - შეისწავლის ყველა ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურას, ფუნქციას, რეპროდუქციას, ზრდას, ევოლუციასა და ქცევას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ბიოლოგია;
- ბოტანიკა;
- გენეტიკა;
- ენტომოლოგია;
- ზოოლოგია;
- მიკოლოგია;
- უჯრედის ბიოლოგია.

#### გამორიცხავს

გარემოს მეცნიერებები, რომლებიც შეისწავლიან ცოცხალ ორგანიზმებსა და გარემოს შორის ურთიერთობას, გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0521 – “გარემოსმცოდნეობა”.

ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ქიმიური პროცესების შესწავლა (ბიოქიმია, ტოქსიკოლოგია, ფარმაკოლოგია და ა.შ.) გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0512 – “ბიოქიმია”.

#### 0512 ბიოქიმია

**ბიოქიმია**, ზოგჯერ უწოდებენ ბიოლოგიურ ქიმიას, შეისწავლის ცოცხალ ორგანიზმებს და ორგანიზმების ქიმიას, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი სიცოცხლის საკითხით.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ბიოლოგიური ქიმია;
- გენეტიკური ინჟინერია;
- გენეტიკური კოდის (DNA, RNA) კვლევები;
- ვიროლოგია;
- სასამართლო მეცნიერებები;
- ტოქსიკოლოგია;
- უჯრედის ტექნოლოგია;
- ფარმაკოლოგია;
- ქსოვილის ტექნოლოგია.

## მოიცავს

აქ კლასიფიცირდება ბიოტექნოლოგია.

### **0521 გარემოსმცოდნეობა**

გარემოსმცოდნეობა - შეისწავლის ორგანიზმებს ერთმანეთთან და ასევე გარემოსთან მიმართებაში.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- გარემოსმცოდნეობა;
- ეკოლოგია.

## გამორიცხავს

ბიოლოგიისა და ტოქსიკოლოგიის შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება ვიწრო სფეროში 051 – “ბიოლოგიური და დაკავშირებული მეცნიერებები.”

### **0522 ბუნებრივი გარემო და ველური ბუნება**

**ბუნებრივი გარემო და ველური ბუნება** - შეისწავლის ბუნებრივ გარემოში ცოცხალ ორგანიზმებს შორის ურთიერთობას, რათა დაიცვას ბუნებრივი გარემო და ველური ბუნება. შეისწავლის ეროვნული პარკების შექმნასა და შენარჩუნებას მათი ორიგინალური, ბუნებრივი მდგომარეობის დაცვის მიზნით.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ბუნების კონსერვაცია;
- ეროვნული პარკებისა და ველური ბუნების მენეჯმენტი;
- ველური ბუნება.

## გამორიცხავს

სოფლის მეურნეობის, მეზღვეობისა და მეტყევეობის შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება 08 – “სოფლის მეურნეობა მეტყევეობა, მეთევზეობისა და ვეტერინარიის” ფართო სფეროს შესაბამის დეტალურ სფეროში.

ნადირობა და ხაფანგით დაჭერა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0821 – “მეტყევეობა”.

## 053 ფიზიკური მეცნიერებები

### 0531 ქიმია

ქიმია - შეისწავლის ნივთიერებებს, მათ ელემენტებსა და მათი შეერთების რეაქციას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- არაორგანული ქიმია;
- ორგანული ქიმია;
- ფიზიკური ქიმია.

#### გამორიცხავს

ბიოქიმია გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0512 – “ბიოქიმია”.

### 0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები - შეისწავლის დედამიწის შემადგენლობასა და სტრუქტურას ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროს ჩათვლით.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- გეოდეზია;
- გეოგრაფია (ფიზიკური);
- გეოლოგია;
- გეომატიკა;
- გეოსივრცული ტექნოლოგიები;
- დედამიწის შემსწავლელი მეცნიერება;
- კლიმატის კვლევა;
- მეტეოროლოგია;
- ოკეანოლოგია;
- სეისმოლოგია.

#### გამორიცხავს

სოციალური გეოგრაფია გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0314 – “სოციოლოგია და კულტურის კვლევები”.

ნიადაგის მეცნიერება გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0811 – “მემცენარეობა და მეცხოველეობა”.

## 0533 ფიზიკა

**ფიზიკა** - შეისწავლის მატერიისა და ენერჯის თვისებებსა და ურთიერთქმედებას. ეს დეტალური სფერო ასევე მოიცავს ასტრონომიასა და კოსმოსის მეცნიერებებს.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ასტრონომია;
- ასტროფიზიკა;
- კოსმოსის მეცნიერება;
- ოპტიკა;
- სამედიცინო ფიზიკა;
- ფიზიკა;
- ქიმიური ფიზიკა.

### გამორიცხავს

ოპტიკოსის პრაქტიკა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0914 – “სამედიცინო დიაგნოსტიკა და მკურნალობის ტექნოლოგიები”.

## 054 მათემატიკა და სტატისტიკა

### 0541 მათემატიკა

**მათემატიკა** - შეისწავლის აბსტრაქტულ დედუქციურ სისტემებს. მოიცავს ალგებრას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ნამდვილ და კომპლექსურ ანალიზს და წმინდა და გამოყენებით მათემატიკას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ალგებრა;
- გეომეტრია;
- მათემატიკა;
- რიცხვითი ანალიზი;
- ოპერაციული კვლევა.

### 0542 სტატისტიკა

**სტატისტიკა** - შეისწავლის რიცხვითი მონაცემების შეგროვებას, აღწერას დახარისხებასა და ანალიზს. მოიცავს ალბათობის თეორიასა და აქტუარიის (სადაზღვევო რისკების) მეცნიერებას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ალბათობის თეორია;
- კვლევის დიზაინი;
- აქტუარიის მეცნიერება;



- სტატისტიკა, გამოყენებითი;
- შერჩევითი კვლევა.

### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება მათემატიკური (თეორიული) სტატისტიკა.

### გამორიცხავს

დემოგრაფია/მოსახლეობის კვლევები გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0314 – “სოციოლოგია და კულტურის კვლევები”.

**058 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მათემატიკასა და სტატისტიკას**

**0588 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მათემატიკასა და სტატისტიკას**

აქ კლასიფიცირდება ის ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, სადაც დადგენილი სასწავლო დროის უმეტესი წილი ეთმობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მათემატიკასა და სტატისტიკას.

## 06 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები

### 061 ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები

#### 0611 კომპიუტერის გამოყენება

**კომპიუტერის გამოყენება** - სხვადასხვა მიზნებისთვის კომპიუტერის, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების გამოყენების შესწავლა. ეს პროგრამები ძირითადად მოკლევადიანია.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ინტერნეტის გამოყენება;
- კომპიუტერის გამოყენება;
- პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება გამოთვლებისთვის (ელექტრონული ცხრილები);
- პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება დესკტოპ-გამომცემლობისთვის;
- პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება მონაცემთა დასამუშავებლად;
- პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება ტექსტის დასამუშავებლად.

#### 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება

**მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება** - შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ვებდიზაინი;
- ინფორმაციის ტექნოლოგიების უსაფრთხოება;
- კომპიუტერის ადმინისტრირება და მენეჯმენტი;
- კომპიუტერული მედია აპლიკაციები;
- კომპიუტერული ქსელის ინსტალირება და ფუნქციონირება;
- მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება;
- ქსელის ადმინისტრირება;
- ქსელის დიზაინი.

#### 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი

**პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი** - შეისწავლის კომპიუტერული სისტემებისა და გამოთვლითი/კომპიუტინგის გარემოს დიზაინსა და განვითარებას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ინფორმატიკა;
- კომპიუტერული პროგრამირება;
- კომპიუტერული მეცნიერება;
- კომპიუტერული სისტემების ანალიზი;
- კომპიუტერული სისტემების დიზაინი;
- ოპერაციული სისტემები;
- პროგრამირების ენების განვითარება;
- პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება;
- პროგრამული უზრუნველყოფის ( Software ) პროგრამირება.

### გამორიცხავს

კომპიუტერული ინჟინერია (Hardware) გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0714 – “ელექტრონიკა და ავტომატიზაცია”.

კომპიუტერული აპლიკაციების გამოყენების საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0611 – “კომპიუტერის გამოყენება”. მონაცემთა ბაზებისა და ქსელების ადმინისტრირება გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0612 – “მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება”

### **0619 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები - არაკლასიფიცირებული**

აქ კლასიფიცირდება ინფორმაციის ტექნოლოგიების პროგრამა, რომელს შინაარსიც არცერთ დეტალურ სფეროს არ შეესაბამება:

- ხელოვნური ინტელექტი.

### **068 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებს**

### **0688 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებს**

აქ კლასიფიცირდება ის ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, სადაც დადგენილი სასწავლო დროის უმეტესი წილი ეთმობა ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებს.

## 07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა

### 071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე

#### 0711 ქიმიური ინჟინერია და პროცესები

**ქიმიური ინჟინერია და პროცესები** - შეისწავლის პროდუქტებისა და პროცესების ქიმიურ და ფიზიკურ ცვლილებებთან დაკავშირებულ დაგეგმვას, პროექტირებასა და განვითარებას. მოიცავს ქიმიური საწარმოებისა და კონტროლის სისტემის დაგეგმვას/პროექტირებას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ქიმიური ინჟინერია;
- ქიმიური პროცესების ინჟინერია;
- ლაბორატორიული ტექნოლოგიები;
- ნავთობის/გაზის/ნავთობქიმიური ნივთიერებების გადამუშავება;
- საწარმოო და მანქანური ოპერაციები (გადამუშავება);
- პროცესების ტექნოლოგიები.

#### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება ლაბორატორიული ტექნოლოგიები თუ აქცენტი არაა გადატანილი მის სპეციფიკურ გამოყენებაზე.

#### გამორიცხავს

ლაბორატორიული ტექნოლოგიები გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან, თუ აქცენტი გადატანილია მის სპეციალურ გამოყენებაზე (ბიოლოგიური, სამედიცინო და ა.შ.) და კლასიფიცირდება შესაბამის დეტალურ სფეროში (0914 და ა.შ.).

ბიოტექნოლოგია გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0512 – “ბიოქიმია”.

პროგრამები და კვალიფიკაციები, სადაც აქცენტი გადატანილია სპეციფიკური მასალების წარმოებაზე გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან მაგ., ქაღალდის გადამუშავების შესწავლაზე მიმართული პროგრამა კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0722 – “მასალები (მინა, ქაღალდი, პლასტიკატი, ხე)”.

#### 0712 გარემოს დაცვის ტექნოლოგია

**გარემოს დაცვის ტექნოლოგია** - შეისწავლის გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერებებისა და ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების, ასევე გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების პროცესებს. იგი მოიცავს ჰაერის, წყლის, ნიადაგის და ა.შ. კონტროლთან დაკავშირებულ პროგრამებს.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- გარემოს ინჟინერია;
- ეკოლოგიური ტექნოლოგიები;
- ენერგოეფექტურობა;
- გადამუშავება (მეორადი ნედლეული);
- სამრეწველო ნარჩენების კონტროლი;
- წყლის დაბინძურების კონტროლი;
- ხმაურის კონტროლი;
- ჰაერის დაბინძურების კონტროლი.

### გამორიცხავს

პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც შეეხება საკვების, წყლის და ა.შ. ჰიგიენის სტანდარტებს გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 1021 – ‘საზოგადოებრივი სანიტარია’.

ნარჩენებისა და წყლის მენეჯმენტთან დაკავშირებული მშენებლობა გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0732 – ‘მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია’.

### **0713 ელექტროტექნიკა და ენერჯია**

**ელექტროტექნიკა და ენერჯია** - შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტრო გაყვანილობისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟს, ექსპლუატაციას, შეკეთებასა და ხარვეზების დიაგნოსტიკას. მოიცავს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგაყვანილობის სადისტრიბუციო ქსელების მონტაჟსა და ექსპლუატაციას. ენერჯია შეისწავლის ენერჯიის გენერირებას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ბირთვული, ჰიდრავლიკური და თბოენერჯია;
- გაზის დისტრიბუცია;
- გათბობის საქმე;
- გაგრილება;
- ელექტროგადამცემი ხაზების მონტაჟი და ექსპლუატაცია;
- ელექტრომოწყობილობების შეკეთება;
- ელექტრული ინჟინერია;
- ელექტრომონტაჟი;
- ელექტროენერჯიის გენერირება;
- ელექტრო საქმე;
- ენერგეტიკა (ენერჯიის კვლევები);
- ენერჯიის წარმოება;
- კლიმატის ინჟინერია;
- მზის ენერჯია;
- ქარის ტურბინები;
- ჰაერის კონდიცირება.

## მოიცავს

აქ კლასიფიცირდება გათბობის, კონდიციონერებისა და გაგრილების მოწყობილობების მონტაჟის, ხარვეზების დიაგნოსტიკისა და შეკეთების პროგრამები.

## გამორიცხავს

მანქანების ელექტროსისტემების შესწავლა გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0716 - “ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საფრენი აპარატები”.

## **0714 ელექტონიკა და ავტომატიზაცია**

**ელექტრონიკა და ავტომატიზაცია** - შეისწავლის ელექტრონული მოწყობილობების, მექანიზმებისა და სისტემების დაგეგმვას, პროექტირებას, განვითარებას, ექსპლუატაციასა და მონიტორინგს. მოიცავს კომპიუტერებისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების პროექტირებასაც.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ელექტრონული ინჟინერია;
- ელექტრონული მოწყობილობების მომსახურება;
- კომუნიკაციის სისტემები;
- კომპიუტერული ინჟინერია;
- კომპიუტერის შეკეთება;
- კონტროლის ინჟინერია;
- მონაცემთა დამუშავების ტექნოლოგია;
- რობოტოტექნიკა;
- საკომუნიკაციო მოწყობილობების ინსტალაცია;
- საკომუნიკაციო მოწყობილობების ტექნიკური ექსპლუატაცია;
- სამაუწყებლო ელექტრონიკა;
- სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- ტელევიზორისა და რადიოს შეკეთება;
- ქსელის ტექნოლოგია;
- ციფრული ტექნოლოგია.

## გამორიცხავს

კომპიუტერის მეცნიერება (პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება) გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0613 – “პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი”.

## **0715 მექანიკა და ლითონის საქმე**

**მექანიკა და ლითონის საქმე** - შეისწავლის მანქანების, მექანიკური საწარმოებისა და სისტემების, ასევე ლითონის პროდუქციის დაგეგმვას, პროექტირებას, განვითარებას, წარმოებას, ფუნქციონირებასა და მონიტორინგს. ის მოიცავს პროდუქციის წარმოებისა და მომსახურებისთვის განკუთვნილი მანქანა - დანადგარების პროექტირებასა და

ფუნქციონირებას. ეს დეტალური სფერო ფოკუსირებულია მანქანებზე/მოწყობილობებზე, მექანიკურ სისტემებსა და ლითონის პროდუქციაზე

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ინსტრუმენტებისა და ტვიფრის დამზადება;
- იარაღის (თოფი) დამზადება - შეკეთება;
- ზეინკლობა და უსაფრთხო შეკეთება;
- ზუსტი მექანიკა;
- ლითონის ჩამოსხმა და ყალიბების დამზადება;
- ლითონის დაზგური დამუშავება/სახარატე საქმე;
- მექანიკური ინჟინერია;
- მექანიკის საქმე;
- მეტალურგიული ინჟინერია;
- ფურცლოვანი ლითონის დამუშავება;
- ფოლადის წარმოება;
- შედუღება;
- ჰიდრაულიკა.

#### გამორიცხავს

ძრავიანი ტრანსპორტის მექანიკა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0716 – “ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საფრენი აპარატები”.

#### **0716 ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საჰაერო ხომალდები**

**ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საფრენი აპარატები** - შეისწავლის ძრავიანი ტრანსპორტის (მ.შ. დედამიწაზე მოძრავი მანქანები და სასოფლო - სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საჰაერო ხომალდები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, ექსპლუატაციას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას. ამ სფეროსთვის ჩვეულებრივია ლითონის სტრუქტურისა და ძრავების შესწავლის კომბინირება.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ავიონიკა;
- ავტომობილის ელექტროსისტემები;
- ავტომობილის ინჟინერია;
- გემთმშენებლობა;
- მეთუნუქობა (ავტომობილის თუნუქის გასწორება);
- მანქანის ნაწილების დამზადება;
- მატარებლის შეკეთება და ტექნიკური ექსპლუატაცია;
- მოტოციკლეტის ინჟინერია;
- საზღვაო ინჟინერია;
- საჰაერო/კოსმოსური ინჟინერია;
- საჰაერო ხომალდის ინჟინერია;
- საჰაერო ხომალდის ტექნიკური ექსპლუატაცია;
- სატრანსპორტო საშუალებებზე ლაქის წასმა/შესხურება;

- სატრანსპორტო საშუალებების მშენებლობა და შეკეთება.

### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება სატრანსპორტო საშუალებების ელექტროსისტემების შესწავლა.

### გამორიცხავს

ძრავის არმქონე სატრანსპორტო საშუალებების წარმოება და შეკეთება გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0714 - “მექანიკა და ლითონის საქმე” (მაგ., ველოსიპედები) ან 0722 “მასალები (მინა, ქაღალდი, პლასტიკატი, ხე)” (მაგ., ნაგებობის ძრავის გარეშე).

## **072 წარმოება და გადამუშავება**

### **0721 საკვები პროდუქტების გადამუშავება**

**საკვები პროდუქტების გადამუშავება** - შეისწავლის საკვები პროდუქტებისა და სასმელების გადამუშავებასა და შეფუთვას, ასევე საკვები პროდუქტების წარმოებისა და დისტრიბუციის დროს გამოყენებულ მოწყობილობებსა და პროცედურებს.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- თამბაქოს გადამუშავება;
- კონდიტერია;
- ლუდის ხარშვა;
- რძის პროდუქცია;
- საკვები პროდუქტებისა და სასმელის გადამუშავება;
- საკვები პროდუქტების მეცნიერება და ტექნოლოგია;
- საკვები პროდუქტების უვნებლობა;
- საკონდიტრო ნაწარმის დამზადება;
- საქონლის დაკვლა;
- ღვინის წარმოება;
- ცხობა;
- ხორცის გადამუშავება.

### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება საკვები პროდუქტების მართვა (დამუშავება, სორტირება, შეფუთვა) და საკვები პროდუქტების ჰიგიენა.

### გამორიცხავს

რესტორანი და კვება გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 1013 – “სასტუმრო, რესტორანი და კვება”.

კვების მეცნიერება გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება ვიწრო სფეროში 051 - “ბიოლოგიური და დაკავშირებული მეცნიერებები”.



## 0722 მასალები (ხე, ქაღალდი, პლასტმასი, მინა)

**მასალები (ხე, ქაღალდი, პლასტმასი, მინა)** - შეისწავლის მინის, ქაღალდის, პლასტმასის, ხის და სხვა მასალებისგან (ქვა, თიხა, ხელოვნური მასალები) დამზადებული პროდუქტების წარმოებას. ამ დეტალურ სფეროში კლასიფიცირებული პროგრამები და კვალიფიკაციები უფრო მეტად ორიენტირებულია სპეციფიკურ მასალაზე, ვიდრე ზოგად ტექნიკურ ცოდნაზე.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ავეჯის დამზადება;
- ბრილიანტის სამრეწველო წარმოება;
- კერამიკა (სამრეწველო);
- მინა (სამრეწველო);
- ნავების მშენებლობა (ძრავის გარეშე);
- პლასტიკატის წარმოება;
- რეზინის გადამუშავება;
- სამშენებლო ხის ტექნოლოგია;
- ქაღალდის წარმოება და გადამუშავება;
- ხუროს საქმე (ავეჯი);
- ხის მანქანური დამუშავება;
- ხის დამუშავების საქმე.

### გამორიცხავს

ლითონის დამუშავება/საქმე გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0715 – “მექანიკა და ლითონის საქმე”.

მშენებლობის ხუროსა და სადურგლო საქმე გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0732 – “მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია”.

ქიმიური დამუშავების განზოგადებულად შესწავლა გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0711 – “ქიმიური ინჟინერია და პროცესები”.

ბეჭდვა და წიგნების აკინძვა გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0211 – “აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება”.

გამოყენებითი ხელოვნების (მინის ხელოვნება და ხელობა, ხის ჭრა და ა.შ.) პროგრამები გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0214 – “გამოყენებითი ხელოვნება(ხელნაკეთობა)”.

## 0723 ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი)

**ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი)** - შეისწავლის საფეიქრო წარმოებას, ტექსტილისა და ტყავის პროდუქციას, ტანსაცმელსა და მასთან დაკავშირებულ პროდუქციას, ფეხსაცმელსა და ფეხსაცმლის სხვა ფორმებს.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ბეწვეულის დამზადება;
- გადასაკრავი მასალები;
- დართვა(ძაფის);
- მატყლის მეცნიერება;
- სამკერვალო საქმე;
- სამკერვალო წარმოება;
- საფეიქრო საქმე (სამრეწველო);
- საუნაგირე საქმე;
- სახარაზო საქმე (ფეხსაცმლის კერვა);
- ტანსაცმლის საქმე;
- ტყავის დამუშავება;
- ტექსტილის საქმე;
- ტყავის წარმოება;
- ფეხსაცმლის დამზადება;
- ქალის ტანისამოსის კერვა.

### გამორიცხავს

გამოყენებითი ხელოვნების (ქსოვა, ქარგვა და ა.შ.) პროგრამები გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0214 –“გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა)”.

## 0724 სამთო საქმე და მოპოვება

**სამთო საქმე და მოპოვება** - შეისწავლის სასარგებლო წიაღისეულის, გაზისა და ნავთობის მარაგების შეფასებასა და დედამიწის წიაღიდან მათი მოპოვების დაგეგმვას, განხორციელებასა და ხელმძღვანელობას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ნავთობისა და გაზის საბურღი საქმე;
- ნავთობისა და გაზის მოპოვება;
- ნედლეულის მოპოვება;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;
- სასარგებლო წიაღისეულის ტექნოლოგიები;
- ქვანახშირის მოპოვება.

### გამორიცხავს

მეტალურგიული ინჟინერიის შესწავლა გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და

კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0715 – “მექანიკა და ლითონის საქმე”.

გეოლოგიის შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0531 – “დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები”.

## 073 არქიტექტურა და მშენებლობა

### 0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება

**არქიტექტურა** - შეისწავლის შენობის/ნაგებობის პროექტირების ხელოვნებას, მეცნიერებასა და ტექნიკას/მეთოდებს. ის მხედველობაში იღებს როგორც გამოყენებით (სტრუქტურის სტაბილურობა და შენობის ფუნქციურ - ეკონომიკური ეფექტიანობა), ასევე ესთეტიკურ მიზნებს. **ქალაქდაგეგმარება** შეისწავლის ქალაქის რეგულირებულ ზრდასა და გაუმჯობესებას, როგორც ფუნქციური ასევე ესთეტიკური თვალსაზრისით.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- არქიტექტურა;
- არქიტექტურული ურბანული დიზაინი და დაგეგმარება;
- გეოდეზიური კვლევა;
- თემის განვითარება;
- კარტოგრაფია/მიწის აზომვა;
- ლანდშაფტის არქიტექტურა;
- სტრუქტურული არქიტექტურა;
- ურბანული დაგეგმარება;
- ქალაქდაგეგმარება (დიდი ქალაქის დაგეგმარება);
- ქალაქის (დაბის) და სოფლის დაგეგმარება;
- შენობის დიზაინი.

### გამორიცხავს

ინტერიერის დიზაინის შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0212 – “მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული დიზაინი”.

გეომატიკა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0532 – “დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები”.

პარკებისა და ბაღების დაგეგმვა და გაშენება გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0812 – “მებაღეობა”.

### 0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია

**მშენებლობა** - შეისწავლის საჯარო (საზოგადოებრივი), კომერციული, ინდუსტრიული და სახცოვრებელი სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟის, აგებისა და ტექნიკური მომსახურების მეცნიერებას, ტექნოლოგიებსა და ტექნიკას/მეთოდებს. **სამოქალაქო ინჟინერია** შეისწავლის დიდი ზომის შენობა - ნაგებობებისა და სტრუქტურების, მათ შორის

სატრანსპორტო სისტემების, წყალმომარაგებისა და არინების და ა.შ. დაგეგმვას, პროექტირებას, ტესტირებასა და მშენებლობის ხელმძღვანელობას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- აგურის დაწყობა;
- გზის მშენებლობა;
- დოკებისა და ნავსადგურების ინჟინერია;
- ვენტილაცია;
- იატაკის დაგება;
- იატაკის და კედლების მოპირკეთება;
- კალატოზობა და ფილების დაგება;
- შენობა - ნაგებობის ინჟინერია;
- შენობის ტექნოლოგია;
- სამოქალაქო ინჟინერია;
- სამშენებლო ტექნიკა/აღჭურვილობა;
- სამშენებლო ლითონის საქმე (შენობა);
- სამრეწველო კედელზე ასვლა (კომერციული);
- წყალსადენის საქმე და მილების მონტაჟი;
- სახლის მშენებლობა;
- შელესვა;
- შენობა - ნაგებობების მშენებლობა;
- შეღებვა და კედლის დაფარვა;
- წყალმომარაგების და წყალარინების ინჟინერია;
- წყლის ინჟინერია და ტექნოლოგია;
- ხიდების მშენებლობა;
- ხუროს და სადურგლო საქმე (შენობა).

#### გამორიცხავს

ელექტობის მონტაჟი გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0713 – “ელექტრობა და ენერჯია”. აღნიშნულის მსგავსად, გათბობის, ჰაერის კონდიციონერებისა და გაგრილების მოწყობილობების მონტაჟი და შეკეთება გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0713 – “ელექტრობა და ენერჯია”.

**078 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ინჟინერიას, წარმოებასა და მშენებლობას**

**0788 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ინჟინერიას, წარმოებასა და მშენებლობას**

აქ კლასიფიცირდება ის ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, სადაც დადგენილი სასწავლო დროის უმეტესი წილი ეთმობა ინჟინერიას, წარმოებასა და მშენებლობას.

## 08 სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და ვეტერინარია

### 081 სოფლის მეურნეობა

#### 0811 მემცენარეობა და მეცხოველეობა

**მემცენარეობა და მეცხოველეობა** - შეისწავლის მცენარეული კულტურების მოყვანას, მოვლასა და მოსავლის აღებას; ასევე საძოვრების მოვლას, ცხოველების მოშენებასა და კვებას. ის მოიცავს ფერმების მართვასა და ფუნქციონირებას და ასევე გადაუმუშავებელი მცენარეული და ცხოველური პროდუქციის წარმოებას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- აგრონომია და მემცენარეობა;
- ბრინჯის მეურნეობა;
- მებოსტნეობა;
- მემარცვლეობა;
- მეფრინველეობა;
- მეღორეობა;
- მეცხვარეობა;
- მეცხოველეობა;
- მეხილეობა;
- მემცენარეობა/მცენარეების მოყვანა;
- ნიადაგმცოდნეობა;
- სოფლის მეურნეობის მეცნიერებები;
- ფერმერობა (ფერმერული მეურნეობა);
- ფერმისა და რანჩოს მენეჯმენტი;
- შაქრის ლერწმის მოყვანა;
- ცხენის მოშენება;
- ძაღლების მოშენება;
- ჭვავის და ხორბლის მოყვანა;
- ყურძნის მოყვანა (მევენახეობა).

#### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება ნიადაგის განაყოფიერება და ირიგაცია.  
ინტენსიურად მართვადი ისეთი მცენარეების შესწავლა, როგორცაა ხილი და ბოსტნეული, კლასიფიცირდება ამ სფეროში.

#### გამორიცხავს

ღვინის წარმოების შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0721 - "საკვები პროდუქტების გადამამუშავება".

ჟოკეის საქმის შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 1014 - "სპორტი".

## 0812 მებაღეობა

**მებაღეობა** - შეისწავლის მებაღეობის ტექნოლოგიებსა და მენეჯმენტს, მეყვავილეობას, სასათბურე მეთოდებს, სანერგეების მართვას, ლანდშაფტის მებაღეობას და ა.შ.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ბაღოსნობა/მებაღეობა;
- მებაღეობის მეთოდები;
- მეყვავილეობა;
- კორდის კულტივირება;
- მწვანე საფარის შენარჩუნება (გოლფი);
- სანერგე მეურნეობის მენეჯმენტი.

### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება ურბანული და სახლის პარკებისა და ბაღების დაგეგმვა და გაშენება.

მებაღეობის პროგრამები მეყვავილეობისა და მებოსტნეობის კომბინირებით კლასიფიცირდება ამ დეტალურ სფეროში.

### გამორიცხავს

საკვები კულტურების მოყვანა (როგორცა ხორბალი, ბრინჯი, ხილი, ბოსტნეული და ა.შ.) გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0811 - “მემცენარეობა და მეცხოველეობა”.

ნიადაგმცოდნეობა, ნიადაგის განაყოფიერება და ირიგაცია გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0811 - “მემცენარეობა და მეცხოველეობა”.

ეროვნული პარკების მენეჯმენტი გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0522 - “ბუნებრივი გარემო და ველური ბუნება”.

ლანდშაფტის არქიტექტურის შესწავლა გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0731 - “არქიტექტურა და ქალაქის დაგეგმარება”.

## 082 მეტყევეობა

### 0821 მეტყევეობა

**მეტყევეობა** - შეისწავლის ტყის გაშენებას, კულტივირებას, მოვლასა და მართვას. ის ასევე მოიცავს ნადირობასა და ხაფანგით დაჭერას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- მეტყევეობა/სატყეო საქმე;
- ნადირობა და ხაფანგის დაგება;

- ტყის მოვლა;
- ტყის პროდუქტის წარმოების მეთოდები;
- ხე-ტყის დამზადება;
- ხე-ტყის ჭრა;
- ხის ნახშირის წვა.

### გამორიცხავს

ეროვნული პარკების მენეჯმენტის შესწავლა გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0522- “ზუნებრივი გარემო და ველური ბუნება”.

სამშენებლო ხის ტექნოლოგიები (ხის სახერხი წარმოება და ა.შ.) გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0722 – “მასალები (მინა, ქაღალდი, პლასტიკატი და ხე)”.

## **083 მეთევზეობა**

### **0831 მეთევზეობა**

**მეთევზეობა** - შეისწავლის თევზისა და ზღვის სხვა საკვები პროდუქტების მოშენებას, გამრავლებასა და პროდუქციის მიღებას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- აკვაკულტურა;
- ზღვის პროდუქტების მეურნეობა;
- თევზის მოშენება;
- თევზის ფერმები;
- მარგალიტის კულტივირება;
- მეთევზეობის/თევზჭერის მეცნიერება და ტექნოლოგია;
- მოლუსკების მოშენება.

### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება თევზჭერის კატარღების ექსპლუატაციის პროგრამები.

### გამორიცხავს

თევზის სამრეწველო გადამამუშავება გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0721 – “საკვები პროდუქტის გადამამუშავება”.

## **084 ვეტერინარია**

### **0841 ვეტერინარია**

**ვეტერინარია** - შეისწავლის ცხოველების დაზიანებებისა და დაავადებების პრევენციას,

დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, ასევე მათ ზოგად მოვლას. მოიცავს ავადმყოფი, დაშავებული და დაუძღვრებული ცხოველების მკურნალობას ვეტერინარულ კლინიკაში. ასევე მოიცავს ვეტერინარის ასისტენტის პროგრამასაც.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ვეტერინარის მეცნიერება;
- ვეტერინარის ასისტირება;
- ვეტერინარული მედიცინა;
- ვეტერინარული საექთნო საქმე;
- ცხოველების რეპროდუქცია (მეცნიერება);
- ცხოველების ჯანდაცვა;
- ხელოვნური განაყოფიერება (ცხოველების).

### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება ცხოველთა რეპროდუქციის მეცნიერება.

### გამორიცხავს

ცხოველების მოშენება გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0811 – “მემცენარეობა და მეცხოველეობა”.

**088 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარიას**

**0888 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარიას**

აქ კლასიფიცირდება ის ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, სადაც დადგენილი სასწავლო დროის უმეტესი წილი ეთმობა სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარიას.



## 09 ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა

### 091 ჯანდაცვა

#### 0911 დენტალური მედიცინა

**დენტალური მედიცინა** - შეისწავლის კბილებისა და ღრძილების დაავადებებისა და დარღვევების დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პრევენციას. ასევე შეისწავლის კბილის პროტეზებისა და ორთოდონტული მოწყობილობის შემუშავებას, გაკეთებასა და შეკეთებას. ასევე მოიცავს დენტისტის (კბილის ექიმის) ასისტირების შესწავლასაც.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- დენტისტის (კბილის ექიმის) ასისტირება;
- დენტალური ჰიგიენა;
- დენტალური ლაბორატორიის ტექნოლოგიები;
- დენტალური საექთნო საქმე;
- დენტალური მეცნიერება;
- დენტალური ქირურგია;
- დენტალური ტექნოლოგიები;
- ოდონტოლოგია;
- პირის ღრუს ქირურგია;
- ორთოდონტია.

#### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება საზოგადოებრივი დენტალური ჯანდაცვა.

#### 0912 მედიცინა

**მედიცინა** - შეისწავლის იმ პრინციპებსა და პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება ადამიანების დაავადებებისა და დაზიანებების პრევენციის, დიაგნოსტიკის, ავადმყოფის მოვლისა და მკურნალობისთვის, ასევე ზოგადად ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის. ეს დენტალური სფერო ძირითადად მოიცავს ექიმების მომზადებას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ანესთეზია;
- გერონტოლოგია;
- გინეკოლოგია;
- ექიმების მომზადება;
- ზოგადი მედიცინა;
- მედიცინა;
- მედიცინის მეცნიერება;
- პედიატრია;
- სასამართლო მედიცინა;
- სასამართლო პათოლოგია;

- სამედიცინო მომზადება;
- ფსიქიატრია;
- ქირურგია;

### 0913 საექთნო და სამეანო საქმე

**საექთნო საქმე** - შეისწავლის ავადმყოფი, სნეული ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირების **ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას** და ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს. საექთნო საქმის კვალიფიკაცია ფოკუსირებულია ავადმყოფობისა და რეაბილიტაციის დროს პაციენტების ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და მოვლაზე. ის მოიცავს მოხუცების და ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების ჯანდაცვას.

**სამეანო საქმე** შეისწავლის ქალის მოვლას (ჯანმრთელობის დაცვას) ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ის ასევე მოიცავს ჩვილის მოვლასა და დახმარებას მეძუძური დედებისთვის.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ექთნის ასისტენტობა;
- ექთნის დახმარება/სანიტრის საქმე;
- ზოგადი საექთნო საქმე;
- მოხუცების ჯანდაცვა;
- საბაზო საექთნო საქმე;
- სამეანო საქმე;
- სპეციალიზირებული საექთნო საქმე;
- ფსიქიატრიის საექთნო საქმე;
- სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჯანდაცვა;
- მცირეწლოვანი ბავშვის ჰიგიენა (მოვლა);
- ჯანდაცვის პროგრამები.

#### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება მოვლის პროგრამები, რომლებიც მოიცავენ ორივეს ჯანმრთელობის დაცვას/სამედიცინო მოვლას და სოციალურ მოვლას (მაგ., მოხუცების)

#### გამორიცხავს

ვეტერინარიის საექთნო საქმე გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0841 – “ვეტერინარია”.

დენტალურის საექთნო საქმე გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0911 – “დენტალური მედიცინა”.

არასამედიცინო მოვლა (არ შეეხება ჯანდაცვას) გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0922 – “ბავშვების მოვლა და მოზარდთა მომსახურებები”.

მოხუცების არასამედიცინო მოვლა (არ შეეხება ჯანდაცვას) გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0921 – “მოხუცებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე ზრდასრულთა მოვლა”.

#### **0914 სამედიცინო დიაგნოსტიკა და მკურნალობის ტექნოლოგიები**

**სამედიცინო დიაგნოსტიკა და მკურნალობის ტექნოლოგიები** - შეისწავლის დაავადებებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირების მკურნალობისა და დიაგნოსტიკისთვის გამოყენებულ მრავალფეროვან ტექნოლოგიებს.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ოპტიკური ტექნოლოგია;
- პროთეზების ტექნოლოგიები;
- რადიოლოგიური ტექნოლოგია;
- რადიოთერაპია;
- რენტგენის ტექნოლოგია (სამედიცინო);
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების ტექნოლოგია;
- სამედიცინო ლაბორატორიული ტექნოლოგიები;
- სმენის აპარატის ტექნოლოგია.

#### გამორიცხავს

ლაბორატორიული ტექნოლოგიების შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან, თუ აქცენტირებული არაა სამედიცინო ლაბორატორიული ტექნოლოგია. ზოგადი ლაბორატორიული ტექნოლოგია კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0711 – “ქიმიური ინჟინერია და პროცესები”. ლაბორატორიული ტექნოლოგია, სადაც აქცენტი გადატანილია მის სხვა სპეციფიკურ გამოყენებაზე (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა და ა.შ.) კლასიფიცირდება შესაბამის დეტალურ სფეროში (0511, 0531, 0533 და ა.შ.).

#### **0915 თერაპია და რეაბილიტაცია**

**თერაპია და რეაბილიტაცია** არის დროებითი ან მუდმივი სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის ნორმალური ფიზიკური მდგომარეობის აღდგენის შესწავლა.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- დიეტოთერაპიის პროგრამა;
- კვება (ნუტრიცია) /დიეტოლოგია;
- მეტყველების თერაპია;
- ოკუპაციური თერაპია;
- რეაბილიტაცია;
- სამედიცინო მასაჟი;
- ფიზიოთერაპია.

#### გამორიცხავს

ფსიქოთერაპიის შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0313 – “ფსიქოლოგია”.

კვების მეცნიერების შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება ვიწრო სფეროში 051 – “ბიოლოგიური და დაკავშირებული მეცნიერებები.”

## **0916 ფარმაცია**

**ფარმაცია** - შეისწავლის წამლებს და ადამიანზე მათ გავლენას. მოიცავს წამლის მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტრირებას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ფარმაცია;
- წამლის გაცემის (სააფთიაქო) ფარმაცია.

## **გამორიცხავს**

ფარმაკოლოგია გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0511 – “ბიოლოგია”.

## **0917 ტრადიციული და ალტერნატიული მედიცინა და თერაპია**

**ტრადიციული და ალტერნატიული მედიცინა და თერაპია** - შეისწავლის ალტერნატიულ მედიცინას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- აკვაპუნქტურა და აღმოსავლური მედიცინა;
- აიურვედული (ტრადიციული ინდური) მედიცინა;
- არომათერაპია;
- ტრადიციული მედიცინა, მაგალითად ჩინური;
- ჰერბალიზმი;
- ჰერბოლოგია;
- ჰოლისტური მედიცინა;
- ჰომეოპათიური მედიცინა.

## **092 სოციალური კეთილდღეობა**

### **0921 მოხუცებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე ზრდასრულთა მოვლა**

**მოხუცებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე ზრდასრულთა მოვლა** - შეისწავლის მოხუცებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე ზრდასრულთა არასამედიცინო მოვლას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ზრდასრულთა პერსონალური მოვლა;
- მოხუცების მოვლა;
- სპეციალური საჭიროებების მქონე ზრდასრულების არასამედიცინო მოვლა.

#### გამორიცხავს

მოხუცებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირების სამედიცინო მოვლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0913 – “საექთნო საქმე და მეანობა”.

#### **0922 ბავშვის მოვლა და მოზარდთა მომსახურებები**

**ბავშვის მოვლა და მოზარდთა მომსახურებები** - შეისწავლის ბავშვებისა და მოზარდების განვითარებასა და არასამედიცინო მოვლას. მოიცავს რეკრეაციულ და დასვენების აქტივობებს, სკოლის ასაკის ბავშვებისა და მოზარდების სოციალურ მომსახურების სახით.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ახალგაზრდების მომსახურებები;
- ახალგაზრდებთან მუშაობის პროგრამები;
- ბავშვთა მოვლა;
- ბავშვთა დასვენების პროგრამები;
- დღის (განმავლობაში) მოვლა;
- სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა არასამედიცინო მოვლა.

#### გამორიცხავს

სკოლამდელ დაწესებულებებში ადრეული განათლების შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0112 – “სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება”.

ბავშვების ჯანდაცვის (სამედიცინო მოვლა) შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0913 – “საექთნო საქმე და მეანობა”.

#### **0923 სოციალური მუშაობა და კონსულტაცია**

**სოციალური მუშაობა და კონსულტაცია** - შეისწავლის საზოგადოების/თემის, სპეციალური ჯგუფების და ინდივიდების სოციალური კეთილდღეობის საჭიროებებსა და მათი დაკმაყოფილების შესაბამის გზებს. ეს დეტალური სფერო ორიენტირებულია სოციალურ კეთილდღეობაზე, სოციალურ პოლიტიკასა და პრაქტიკაზე მკაფიო აქცენტით.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ალკოჰოლის, თამბაქო, ნარკოტიკები (ცოდნა);
- ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარების შესახებ კონსულტირება;
- კრიზისების (დროს) მხარდაჭერა;
- მობინგი და არასათანადო მოპყრობა (მათ შესახებ ცოდნა);
- ოჯახისა და ქორწინების შესახებ კონსულტირება;
- პირობით გათავისუფლებულების ოფიცერთა მომზადება;
- პრობაციის ოფიცერთა მომზადება;
- პროფესიული კონსულტირება;
- პროფესიული ორიენტაცია;
- სოციალური თეორია (გამოყენებითი);
- სოციალური პოლიტიკა;
- სოციალური პრაქტიკა;
- სოციალური სამუშაო (სოციალური კეთილდღეობა).

### გამორიცხავს

სოციოლოგიისა და სოციალური მეცნიერების შესწავლა გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0314 – “სოციოლოგია და კულტურის კვლევები”.

პროგრამები, სადაც კომბინირებულია ჯანდაცვა(სამედიცინო მოვლა) და სოციალური მოვლა გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0913 – “საექთნო საქმე და მეანობა”.

**098 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ჯანდაცვასა და სოციალურ კეთილდღეობას**

**0988 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ჯანდაცვასა და სოციალურ კეთილდღეობას**

აქ კლასიფიცირდება ის ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, სადაც დადგენილი სასწავლო დროის უმეტესი წილი ეთმობა ჯანდაცვასა და სოციალურ კეთილდღეობას.

## 10 მომსახურებები

### 101 პერსონალური მომსახურებები

#### 1011 საშინაო (საოჯახო - საყოფაცხოვრებო) მომსახურება

საშინაო (საოჯახო-საყოფაცხოვრებო) მომსახურება - შეისწავლის მრავალფეროვან საშინაო მომსახურებას, როგორცაა სახლის მოვლა-პატრონობა, დასუფთავება, რეცხვა, კერვა და ა.შ.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ბუხრის წმენდა;
- დასუფთავება;
- დაკრძალვის მომსახურებები და სამორგე მეცნიერება;
- კერვა (სახლი);
- მშრალი წმენდა;
- საკვების მომზადება (სახლი);
- სამრეცხაო საქმე;
- საშინაო/საოჯახო მეურნეობის ეკონომიკა;
- საშინაო/საოჯახო მეურნეობის მეცნიერება;
- სახლის პატრონობა, საშინაო მეურნეობის გაძღოლა და საშინაო მომსახურება;
- ფანჯრების წმენდა;
- ხელსაქმე (სახლი).

#### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება დასუფთავება, იმ შემთხვევაშიც კი თუ ის მიმართულია სკოლების, საავადმყოფოების, ფაბრიკების და ა.შ. დასუფთავებაზე.

#### გამორიცხავს

შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის პროგრამების გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0732 – “მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია”.

### 1012 თმის და სილამაზის მომსახურებები

თმის და სილამაზის მომსახურებები - შეისწავლის თმისა და სხეულის მოვლას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- სადალაქო/საპარკმახერო საქმე;
- თმის დავარცხნა;
- კოსმეტოლოგია (მაკიაჟი);
- მანიკური;
- პედიკური;
- სილამაზის თერაპია;
- ფიტნესი და წონის კონტროლი.

## 1013 სასტუმრო, რესტორანი და კვება

**სასტუმრო, რესტორანი და კვება** - შეისწავლის საკვების, სასმელის, დაბინავების და სხვა დაკავშირებულ მომსახურებებს სასტუმროსა და რესტორანში.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- კვება/კვების ორგანიზება;
- კვების (დროს) მომსახურება;
- ოფიციალური საქმე და ბარის მომსახურება;
- საკვების მომზადება (რესტორანი და სასტუმრო);
- სასტუმრო და სარესტორნო საქმე;
- სასტუმროს მიმღების მომზადება;
- სასტუმროს მომსახურებები;
- სტუმრების მომსახურებები;
- სწრაფი კვების პროდუქტების მომზადება;

### გამორიცხავს

საკვები პროდუქტების გადამუშავება (ინდუსტრიული/საწარმოო) გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0721 – “საკვები პროდუქტების გადამუშავება”.

მიმღების მომზადება (ზოგადი) გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0415 – “სამდივნო და საოფისე საქმე”.

## 1014 სპორტი

**სპორტი** - შეისწავლის ამა თუ იმ კონკრეტული სპორტის სახეობის ტექნიკასა და უნარებს.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- სპორტის ტრენერის/მწვრთნელის პროგრამები;
- კონკრეტული სპორტის სახეობის ტექნიკა და უნარები;
- მედიატორების/მსაჯებისა და სპორტის სხვა ოფიციალური პირების მომზადება.

### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება ჟოკეის მომზადება.

### გამორიცხავს

ფიზიკური განათლების სკოლის მასწავლებლის მომზადება გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0114 – “მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით”.



ფიტნესის მომსახურებები გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 1012 – “თმის და სილამაზის მომსახურებები”.

### **1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება**

**მოგზაურობა და ტურიზმი** - შეისწავლის ტურისტული მიმართულებებისა და ღონისძიებების მარკეტინგსა და რეკლამირებას. ის მოიცავს ბილეთებისა და დაჯავშნის საკითხებს. **დასვენება** შეისწავლის ჯგუფებისა და ინდივიდების რეკრეაციულ და დასვენების აქტივობებს.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- აეროპორტის მომსახურება მომზადება/აეროპორტის მომსახურებები;
- გიდობა, ტურის წინამძღოლობა;
- ვერტიკალურ ზედაპირზე ასვლა (თოკზე ასვლა);
- მოგზაურობა და ტურიზმი;
- რეკრეაცია და დასვენება;
- სათავგადასავლო აქტივობები;
- სამოგზაურო მომსახურებები;
- სამოგზაურო სააგენტოს მომსახურებები;
- ტურიზმის საქმე.

#### მოიცავს

აქ კლასიფიცირდება საბაზო ტრენინგი ტურისტების გამასპინძლების საკითხზე.

#### გამორიცხავს

სკოლის მოსწავლეების რეკრეაციისა და დასვენების პროგრამები გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0922 – “ბავშვის მოვლა და მოზარდთა მომსახურებები”.

### **102 ჰიგიენა და პროფესიული ჯანმრთელობის მომსახურებები**

#### **1021 საზოგადოებრივი სანიტარია**

**საზოგადოებრივი სანიტარია** - შეისწავლის საზოგადოებრივ მომსახურებებთან დაკავშირებულ იმ საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე. კერძოდ, საკვები პროდუქტების, წყალმომარაგების, წყალარინების, ნაგვისა და ქუჩის დასუფთავების ჰიგიენურ სტანდარტებს

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ნაგვის შეგროვება;
- ნაგვის/ჩამდინარე წყლების გატანა/გაწმენდა;
- ქუჩის დასუფთავება;

- ნარჩენების მენეჯმენტი;
- წყლის მომარაგება (მომსახურება);
- ჰიგიენა, საზოგადოებრივი;
- ჰიგიენის სტანდარტები.

## 1022 პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

**პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება** - შეისწავლის სამუშაო ადგილთან დაკავშირებული გარემო ფაქტორების ამოცნობას, შეფასებასა და კონტროლს.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ერგონომიკა (პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება);
- სამრეწველო კეთილდღეობა;
- სამუშაო გარემო;
- სტრესის მართვა;
- პროფესიული უსაფრთხოება;
- პროფესიული ჯანმრთელობა და სამრეწველო ჰიგიენა;
- შრომის დაცვა;
- შრომის უსაფრთხოება;
- შრომითი კეთილდღეობა (უსაფრთხოება);
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე.

### გამორიცხავს

პროფესიული რეაბილიტაცია და ოკუპაციური თერაპია გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0915 – “თერაპია და რეაბილიტაცია”.

შრომის სამართალი გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0421 – “სამართალი”.

ერგონომიკის შესწავლა გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან, თუ აქცენტი გადატანილია ტექნიკურ ასპექტებზე და კლასიფიცირდება 071 - “ინჟინერია და საინჟინრო საქმის” ვიწრო სფეროს შესაბამის დეტალურ სფეროში.

## 103 უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები

### 1031 სამხედრო საქმე და თავდაცვა

**სამხედრო საქმე და თავდაცვა** - შეისწავლის საზოგადოებისთვის გაწეულ მომსახურებებს, რომლებიც დაკავშირებულია ომსა და თავდაცვასთან და შემუშავებულია სამხედრო მეცნიერებების პრინციპებსა და პრაქტიკისთვის მომზადების უზრუნველსაყოფად.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- თავდაცვის კვლევები;

- ომის თეორია;
- საზღვაო ძალების მომზადება;
- სამხედრო ძალების მომზადება;
- სამხედრო მეცნიერება;
- საჰაერო ძალების მომზადება.

#### გამორიცხავს

სამხედრო პირების მიერ არასამხედრო პროგრამების შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება საგნის შინაარსიდან შესაბამის დეტალურ სფეროში.

#### **1032 ადამიანებისა და საკუთრების დაცვა**

**ადამიანებისა და საკუთრების დაცვა** - შეისწავლის საზოგადოებისთვის გაწეულ მომსახურებებს, რომლების უკავშირდება, როგორც ადამიანებს ასევე მათი საკუთრების დაცვას. მოიცავს საპოლიციო მომზადებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახანძრო დაცვას და ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- პირადი დაცვა;
- საბაჟოს/საბაჟო საქმის პროგრამები;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოება;
- სამოქალაქო უსაფრთხოება;
- საპოლიციო საქმე;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მუშაობა/საპატიმრო საქმე;
- სახანძრო დაცვა (ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლა);
- სახანძრო ტექნოლოგიები;
- უსაფრთხოებისა და დანაკარგის პრევენციის მომსახურებები;
- უსაფრთხოების დაცვა;
- წესრიგის კონტროლის/ საპოლიციო საქმის შესწავლა.

#### გამორიცხავს

სამართლის შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0421 – “სამართალი”.

კრიმინოლოგიის შესწავლა გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0314 – “სოციოლოგია და კულტურის კვლევები”.

## 104 ტრანსპორტის მომსახურება

### 1041 ტრანსპორტის მომსახურებები

**ტრანსპორტის მომსახურებები** - შეისწავლის გემის, მატარებლის, ავტომობილის, საჰაერო ხომალდების და სხვა ფორმის ტრანსპორტის ფუნქციონირებას/ოპერირებას, ნავიგაციასა და მართვას.

აქ კლასიფიცირდება პროგრამები და კვალიფიკაციები შემდეგი ძირითადი შინაარსით:

- ამწე და სატვირთო ავტომობილის მართვა;
- გემის ოპერაციები;
- კაბინის ეკიპაჟის (მომსახურე პერსონალი) მომზადება;
- კომუნიკაცია (საჰაერო, სარკინიგზო, საავტომობილო და ა.შ.);
- მართვის (ავტომობილის) პროგრამები;
- ნავიგაციის ტექნოლოგიები;
- საგზაო ტრანსპორტის ოპერაციები;
- საზღვაო გადაზიდვები;
- სარკინიგზო ოპერაციები;
- სატრანსპორტო საქმე;
- საფოსტო მომსახურება;
- საჰაერო ხომალდის ოპერაციები;
- საჰაერო მოძრაობის კონტროლი;
- საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოება;
- ფრენა/პილოტირება და ნავიგაცია.

### გამორიცხავს

სატელეფონო ქსელის მომსახურებები გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0714 – “ელექტრონიკა და ავტომატიზაცია”.

კომპუტატორის ოპერირების პროგრამები გამორიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 0415 – “სამდივნო და საოფისე საქმე”.

**0108 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ მომსახურებებს**

**01088 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ მომსახურებებს**

აქ კლასიფიცირდება ის ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, სადაც დადგენილი სასწავლო დროის უმეტესი წილი ეთმობა მომსახურებებს.

დანართი I - ISCED-F 2013: შესაძლო კოდების ჩამონათვალი

| ფართო სფერო                               | ვიწრო სფერო   | დეტალური სფერო   |
|---|---|--|
| 00 ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები    | 000 ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები - არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას  | 0000 ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები - არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას  |
|   | 001 საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები<br>002 წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება<br>003 პიროვნული უნარები და განვითარება | 0011 საბაზო პროგრამები და კვალიფიკაციები<br>0021 წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება<br>0031 პიროვნული უნარები და განვითარება   |
|   | 009 ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები - არაკლასიფიცირებული  | 0099 ზოგადი პროგრამები და კვალიფიკაციები - არაკლასიფიცირებული  |
| 01 განათლება                              | 011 განათლება   | 0110 განათლება - არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას<br>0111 განათლების მეცნიერება<br>0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება<br>0113 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციის გარეშე<br>0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით<br>0119 განათლება - არაკლასიფიცირებული |
|   | 018 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ განათლებას  | 0188 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ განათლებას  |
| 02 ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები | 020 ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები - არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას   | 0200 ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები - არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას   |
|   | 021 ხელოვნება   | 0210 ხელოვნება - არ ექვემდებარება შემდგომ  |

|                            |   |   |
|----------------------------|---|---|
|                            |   | <p>განსაზღვრას</p> <p>0211 აუდიო - ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია/წარმოება</p> <p>0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული დიზაინი</p> <p>0213 სახვითი ხელოვნება</p> <p>0214 გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა)</p> <p>0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება</p> <p>0219 ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული</p> |
|                            | 022 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე)   | <p>0220 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე) - არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას</p> <p>0221 რელიგია და თეოლოგია</p> <p>0222 ისტორია და არქეოლოგია</p> <p>0223 ფილოსოფია და ეთიკა</p> <p>0229 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე) - არაკლასიფიცირებული</p>  |
|                            | 023 ენები   | <p>0230 ენები - არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას</p> <p>0231 ენის დაუფლება</p> <p>0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა</p> <p>0239 ენები - არაკლასიფიცირებული</p>   |
|                            | 028 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს | <p>0288 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს</p>   |
|                            | 029 ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული   | <p>0299 ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული</p>   |
| 03 სოციალური მეცნიერებები, | 030 სოციალური მეცნიერებები,   | 0300 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია   |

|                                      |   |   |
|--------------------------------------|---|---|
| <p>ჟურნალისტიკა და ინფორმაცია</p>    | <p>ჟურნალისტიკა და ინფორმაცია არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას -</p>  | <p>- არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას</p>   |
|                                      | <p>031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები</p>  | <p>0310 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას<br/>0311 ეკონომიკა<br/>0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები<br/>0313 ფსიქოლოგია<br/>0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები<br/>0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული</p> |
|                                      | <p>032 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია</p>   | <p>0320 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია - არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას<br/>0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა<br/>0322 საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა<br/>0329 ჟურნალისტიკა და ინფორმაცია - არაკლასიფიცირებული</p>   |
|                                      | <p>038 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკასა და ინფორმაციას</p> | <p>0388 ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკასა და ინფორმაციას</p>  |
|                                      | <p>039 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია - არაკლასიფიცირებული</p>  | <p>0399 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია - არაკლასიფიცირებული</p>   |
| <p>04 ბიზნესი, ადმინისტრირება და</p> | <p>040 ბიზნესი, ადმინისტრირება და</p>   | <p>0400 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი - არ</p>   |

|   |  |  |
|---|--|--|
| სამართალი   | სამართალი - არ ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას   | ექვემდებარება შემდგომ განსაზღვრას  |
